# ნაპერწკალი

ეროვნული ბიბლიოთეკა
140
2006
ნვ



# საქართველოს მომავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის №147-ე
საჯარო სკოლა,
I კლასი
ხელმძღვანელები
მარინა გელაშვილი,
ანა ხვედელიძე



თბილისის №147-ე
საჯარო სკოლა,
I კლასი
ხელმძღვანელი
გულიკო მერებაშვილი



თბილისის №147-ე
საჯარო სკოლა,
I კლასი
ხელმძღვანელი
ნელი რაზმაძე

ოლეგ გველესიანის
ფოტოები

ნაკადული
ელექტრონული ბიბლიოთეკა


# ნაკადული

საყმაწვილო
ჟურნალი
2006 წ. № 7


## ნომრის შინაარსი


4. სიახლეების დანერგვის გზით





10. ქართული საოლის ჩინელი მოსწავლე

12. ადამიანი სიცოცხლის მესამედს ძილში ატარებს





14. არა – ნარკოტიკებს!

16. იცი, როგორ უნდა მოიწყო შენი ოთახი?





28. არსებობენ თუ არა მოჩვენებები?


ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფუძარზეა ამოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

წლიწადში გამოიცემა ჟურნალის ცხრა ნომერი (ივნისის, ივლისის და აგვისტოს თვეებში „ნაკადულს“ საზაფხულო არდადეგები აქვს).


რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: თბილისი,
კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93 31 81;
93 18 84. ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი

რეგისტრირებულია
მთაწმინდა-კრწანისის
სასამართლოში.
რეგისტრაციის № 06/4-575


### რუბრიკები


15 – პოეზიის მარგალიტები
19 – ოდოშხერი
20 – რატომ ვამბობთ ასე?
22 – ბუნების კარი
23 – შენზე ფიქრით რომ ალამებს
25 – ხუთკუნჭულას გვერდი
26 – ვინ? რა? როგორ? სად?
27 – უნდა გაგაოცოთ
29 – ტესტი
31 – სიცილის გაკვეთილი
32 – ინილო-ბინილო


გარეკანის პირველ გვერდზე გიული ორჯონიკიძე



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „პაკეტი"



## მერი არაბიძე ევროპის ჩემპიონი გახდა

წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარგზავნილებმა სერბეთის ქალაქ ჰერცეგნოვიში გამართულ 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე. ყველაზე უკეთეს შედეგს კი სამტრედიის მე-3 სკოლის მეშვიდეკლასელმა მერი არაბიძემ მიაღწია (მწვრთნელი გოჩა ჩაჩუა), რომელმაც 12 წლის გოგონებს შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა, ბოლო გადამწყვეტ ტურში პოლონელი თანატოლი დაამარცხა, 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა დააგროვა და ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა. ამავე ასაკობრივ ჯგუფში ბრინჯაოს მედალი მარიამ დანელიას ერგო. ათწლიანებში კი თეკლა მაჭარაშვილმა იმარჯვა, 9-დან 7 ქულა დააგროვა და ვერცხლის მედალს დაეუფლა. ბიჭებიდან ჩვენს გუნდში საუკეთესო შედეგი 14 წლის ბრეგაძემ აჩვენა, რომელმაც თავის ასაკობრივ ჯგუფში II ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

## 3700 ახალი კომპიუტერი სკოლებისათვის

კომპანია „British Petrolium-ის 2 მილიონ 800 ათასიანი გრანტით შეძენილი 3700 ახალი კომპიუტერით პროგრამა „ირმის ნახტომის" ჩარჩოებში საქართველოს 350 საჯარო სკოლა აღიჭურვება. კომპიუტერების შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია „NGT"-მ ივალდებულა სამი წლის განმავლობაში კომპიუტერების დაზიანების შემთხვევაში მომსახურება გაუწიოს სკოლებს, უზრუნველყოს მათი სერვისცენტრებში და უკან, სკოლებში ტრანსპორტირება. გარდა ახალი „Hewlett-peckard"-ის ტიპის კომპიუტერებისა, სკოლებისთვის შეძენილია პორტატიული კომპიუტერები, პრინტერები, პროექტორები. „ირმის ნახტომის" მიხედვით, ოთხ წელიწადში კომპიუტერთან მუშაობას ჩვენი მასწავლებლების 100 და მოსწავლეების 70% შეისწავლის.

## 13 წლის სანდრო იაშვილი საქართველოს მოქალაქე გახდა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას 13 წლის სანდრო იაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ. 13 წლის ობოლი სანდრო ბოლო დრომდე ბებიასთან ერთად საბერძნეთში ცხოვრობდა, რამდენიმე თვის წინ კი მან ღია წერილით მიმართა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს, მისწერა თავის წარმატებებზე სწავლასა და სპორტში და სურვილი გამოთქვა, მომავალში თავისი ცოდნა და ძალები სამშობლოს მოახმაროს. ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა დააკმაყოფილა პატარა სანდროს თხოვნა, ისე რომ ამიერიდან ის საქართველოს მოქალაქეა.

## მსოფლიოს №4 ლამაზმანი ქართველი გოგონა

თბილისის №1 კლასიკური გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოსწავლემ, 12 წლის თამარ გველესიანმა ბავშვთა სილამაზის მსოფლიო კონკურსში, რომელშიც 26 ქვეყნის წარგზავნილი ნორჩი ლამაზმანები მონაწილეობდნენ, მეოთხე ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, თამრიკო საუკეთესოდ აღიარეს ნომინაციაში „სიტყვის მომზადების ტალანტი". ჟიურის და მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება ქართველი გოგონას მიერ შესრულებულმა ცეკვა „კინტოურმა" დაიმსახურა.

## არასრულწლოვანი პატიმრები თეატრში იყვნენ

ამიერიდან არასრულწლოვან პატიმრებს სისტემატურად დაასწრებენ თეატრალურ წარმოდგენებს, სხვადასხვა სახის კონცერტებს, სპორტულ ღონისძიებებს. ამ სიახლეს სათავე ახლახან დაედო — 15 მოზარდი ბადრაგის თანხლებით მიიყვანეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, სადაც მათ გიზო ჟორდანიას მიერ დადგმული ბრეხტის პიესა „სამგროშიანი ოპერა" ნახეს. მსგავსი ღონისძიებები ხელს შეუწყობს მოზარდებს სასჯელის მოხდის პერიოდშიც საზოგადოებისგან მოწყვეტილად არ იგრძნონ თავი, მიიღონ გონებრივი და სულიერი საზრდო.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# სიახლეების დანერგვის გზით

ხომ გახსოვთ, იმ დღეებში, როდესაც თბილისში არსებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი სკოლის ქართველი მოსწავლეები სკოლაში აღარ შეუშვეს, საქართველოს პრეზიდენტი დედაქალაქის ერთ-ერთ რუსულ სკოლას რომ ეწვია და იქაურმა არაქართველი ეროვნების პირველკლასელმა მოსწავლე გოგონამ რომ შესჩიკჩიკა, საქართველო ჩვენი სამშობლოა და არსად წასვლას არ ვაპირებთო. აი სწორედ ამ სკოლაზე, თბილისის 72-ე საჯარო სკოლაზე უნდა გიამბოთ, რომელშიც იმ პატარა გოგონას ნათქვამში ჩაქსოვილი სულისკვეთება სუფევს დღიდან მისი გახსნისა. გახსნით კი სკოლა ორთაჭალაში, სხვადასხვა ეროვნების თბილისელებით დასახლებულ ქალაქის ამ ძველ უბანში, 1937 წელს გაიხსნა. დღეს აქ 13 ეროვნების 680 მოსწავლე სწავლობს, ასევე მრავალეროვანია სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, რომელიც თავის მთავარ დანიშნულებას და მიზანს საქართველოს ღირსეული მოქალაქეების, ინტელექტუალური, დამოუკიდებლად მოაზროვნე, ცოდნის გამოყენების უნარით აღჭურვილი ახალგაზრდების აღზრდაში ხედავს, დევიზი კი, რომლითაც აქ განუხრელად ხელმძღვანელობენ ასეთია — ჯერ სიყვარული, სიკეთე, მერე კი სწავლა, ჯერ ადამიანი, მერე კი ცოდნა-განათლება. სკოლის აღზრდილებს ყოველთვის აქტიური წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში, მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეა დღესაც ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბერძენი, ასირიელი და სხვა ეროვნების ასობით ახალგაზრდისთვის ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელი ბილეთი აქ, 72-ე საჯარო სკოლაში იწყება.

გასულ სასწავლო წელს სკოლას ქალბატონი ნათელა ნატროშვილი ჩაუდგა სათავეში, რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას, გამოაცოცხლა აქაურობა, განახლების სული შთაბერა მდიდარი ტრადიციებით ცნობილ სასწავლებელს. სხვადასხვა თაობის თანამოაზრე მასწავლებელთა ერთსულოვანი კოლექტივი მხარში ამოუდგა ახალ დირექტორს. დღეს აქ მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მდიდარი ტრადიციების რაციონალური მარცვლის შენარჩუნებით და განათლების სისტემის რეფორმით დასახული სიახლეების დასანერგად აუცილებელი ახალი გზებისა და მეთოდების ძიება-დანერგვის ნიშნით მიმდინარეობს. კვლავინდებურად საინტერესოდ ტარდება პუშკინის დღეები (1997 წელს გენიალური რუსი პოეტის 200 წლისთავთან დაკავშირებით 72-ე სკოლას მისი სახელი მიენიჭა), რომლის ჩარჩოებში ეწყობა ლიტერატურული სალონი, პუშკინის თხზულებების კონკურსები, პუშკინისეული მეჯლისები, თემატური საღამოები: „პუშკინი და საქართველო“, „პუშკინი და რომანსი“ „პუშკინისეული ადგილები საქართველოში“ და სხვა.



მთელი სკოლა ერთვება ასევე ტრადიციულ ქართული ენის ზეიმში, რომლის მონაწილეები იკრიბებიან „დედაენის“ ძეგლთან და ყვავილებით ამკობენ მას, ქართულ ენაზე კითხულობენ ცნობილი ქართველი პოეტების ლექსებს, მერე ზეიმი სკოლაში გრძელდება და მთელი კვირა მიმდინარეობს. ძველებურადვე ეწყობა საგნობრივი კვირები, რომლებიც შესაბამისი კათედრების ინიციატივითა და ძალისხმევით, ყველა ასაკის მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს და ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. დღითიდღე მტკიცდება მეგობრობა თბილისში წლების წინ დაფუძნებულ „რუსულ კლუბთან“, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან „სლავიანსკი დომ“, და „იაროსლავნა“. საინტერესო, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა ჩამოყალიბდა თბილისის 72-ე სკოლას და საბერძნეთის, პელოპონესის კუნძულზე არსებულ ვუნარგასის სკოლას შორის. 72-ეში გარდა ინგლისური ენისა, მეხუთე კლასიდან კიდევ ერთ უცხო ენად ბერძნული ისწავლება, სწორედ ეს მომენტი გახდა ამ ორი სკოლის დამეგობრების ამოსავალი წერტილი. ბერძენი მეგობრები, უნივერსიტეტის წარმომადგენლები ყოველწლიურად სტუმრობენ თბილისის სკოლას, ამოწმებენ ბერძნული ენის ცოდნის დონეს, სწავლების პროცესის ავ-კარგიანობას, აჯილდოებენ საუკეთესო მოსწავლეებს. ასე შეემატა სკოლას ბერძნულის მცოდნეთა მონაგარი — ვიდეო, ავეჯი, ბერძნულენოვანი ლიტერატურა და სხვა. შარშან კი ბერძენმა მეგობრებმა 72-ე სკოლის ოთხი მასწავლებელი და 19 მოსწავლე თავისთან, პელოპონისზე მიიწვიეს და ჩინებული მასპინძლობაც გაუწიეს. ქართულ-ბერძნული ურთიერთობების დამყარება-განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვით საბერძნეთის საელჩოს საქართველოში და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ბერძნული ენის კათედრას, რომლებსაც ორივე მხარე დიდად ემადლიერება.



დღევანდელობის, ახალი მოთხოვნების შესაბამისად ინტენსიური და მრავალფეროვანი ხასიათი შეიძინა ინგლისური ენის კათედრის ასევე ტრადიციულმა ღონისძიებებმა: ღია გაკვეთილებმა, თემატურმა დილებმა, ლიტერატურულმა საღამოებმა, წმინდა ვალენტინის დღის აღნიშვნამ და სხვა.

გასული სასწავლო წლის მიწურულს ტრადიციულ ღონისძიებებს ახალ შტრიხად შეემატა საქართველოს პირველი ქალბატონის სანდრა რულოვსის

24419

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრობა სკოლაში და მისი წიგნის „იდეალისტის ნამბობი“ პრეზენტაცია-განხილვა. ქალბატონი სანდრა მოიხიბლა ამ უჩვეულო, ორიგინალური შეხვედრით. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები ეროვნული კერძებით, ცეკვა-სიმღერითა და სხვადასხვა ენაზე წარმოთქმული მისალმებებით შეეგებნენ სტუმარს. ორიგინალურად წარმოდგენილ 14 ეროვნულ კუთხეს შორის მოსწავლეებმა ჰოლანდიური კუთხეც წარმოადგინეს. ქალბატონმა სანდრამ ამომწურავად უპასუხა წიგნის გარშემო დასმულ შეკითხვებს და სიამოვნებით აღნიშნა, რომ მისი სათქმელი მოსწავლეებმაც და მასწავლებლებმაც სწორად გაიგეს.



სანდრა რულოვსი მოიხიბლა მოსწავლეების გონებაგახსნილობით, დამოუკიდებელი აზროვნებით, მჭევრმეტყველებით. ამ სტუმრობით მიღებულ სიამოვნებას ისიც დაემატა, რომ ქალბატონი სანდრა რომელიც, როგორც თავად წერს თავის წიგნში, თურმე ყოველთვის ოცნებობდა მასწავლებლობაზე, სკოლის საპატიო პედაგოგად აირჩიეს.

სკოლის შენობას ახალი არ ეთქმის, პირველი ზარი აქ 70 წლის წინათ დაირეკა, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და თუმცა სკოლა მტკიცედ არის ნაგები, დრომ და ნაწილობრივ აქ აღზრდილმა თაობებმა მაინც დაატყვეს კვალი და ამიტომაც ახალმა დირექტორმა პირველ საზრუნავად ინტერიერის, საკლასო ოთახების, სახურავის მოწესრიგება დაისახა. მისი ძალისხმევით და ქვეყნის განათლების სისტემაში აღებული საერთო გეზის შედეგად წლევანდელი სასწავლო წელი სკოლამ განახლებულ-გალამაზებულ შენობაში დაიწყო. გარემონტდა და მოწესრიგდა ყველა პრიორიტეტი, რაც კი საქართველოს პრეზიდენტის პროგრამის „იაკობ გოგებაშვილი“ ჩარჩოებში ჩაიწერა — მთლიანად გამოიცვალა სახურავი, ფანჯრები, მოწესრიგდა სველი წერტილები, მწყობრში ჩადგა გათბობის სისტემა. კიდევ ერთი საჩუქარი, რომელიც 72-ე სკოლელებს ქალაქის ხელმძღვანელობამ მოუმზადა, ჩინებული სპორტული ბაზაა კალათბურთისა და ფეხბურთის ხელოვნურსაფარიანი მოედნებით. მოსწავლეებიც და პედაგოგებიც დიდად ემადლიერებიან თბილისის მერიასაც, კრწანისის რაიონის გამგებელსაც და განათლების სამინისტროსაც, სახელდობრ კი, ბატონებს გიგი უგულავას, თემურ სამადაშვილს და დავით მესხიშვილს იმ დიდი შრომა-გარჯისა და მზრუნველობისთვის, რომლის შედეგები ასე სასიკეთოდ დაეტყო სკოლას. გალამაზებულ-გაწკრიალებულ, კეთილმოწყობილ საკლასო ოთახებს ახალი მერხები და სხვა სასკოლო ინვენტარიც ძალიან მოუხდა. და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ყოველივე ამის პარალელურად ბავშვებში ინერგება მშობლიური სკოლის, საკუთარი საკლასო ოთახის, სასკოლო ინვენტარის გაფრთხილების შეგნება.

პროგრამა „ირმის ნახტომის“ ჩარჩოებში სკოლამ კომპიუტერებიც მიიღო და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა რეფორმირების გზაზე. თბილისის 72-ე საჯარო



სკოლა პილოტირებული სკოლაა, რაც ყველაფერთან ერთად იმასაც გულისხმობს, რომ იგი სხვებისთვის სამაგალითო და მისაბაძი უნდა იყოს. ამის შეგნებით მუშაობს სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი თავის ენერგიულ, მაძიებელი ბუნებით დაჯილდოებულ, მიზანმიმართულ ხელმძღვანელთან ერთად. სხვადასხვა თაობისა და ეროვნების თანამოაზრე მასწავლებელთა ერთ მუშტად შეკრული რაზმი იქითკენ არის მიდრეკილი, რომ წლების მანძილზე ფუძეგაყრილ ტრადიციებს ახალი სული შთაბეროს და ახალი გზებისა და მეთოდების ძიება-დანერგვის ნიშნით წარმართოს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. ამიტომაც არიან განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეთა კურსში, ამიტომაც არ აძლევენ საკუთარ თავს მოდუნების, გარდაქმნის გზიდან გადახვევის უფლებას და ბედნიერად გრძნობენ თავს, როდესაც ხედავენ, რა კეთილი ნაყოფი მოაქვს მათ ძალისხმევას მოსწავლეებისათვის.

72-ე სკოლის დირექტორს, სამეურვეო საბჭოს და პედაგოგებს მომავალთან დაკავშირებით დიდი და საინტერესო გეგმები და პროექტები აქვთ, რომელთა განხორციელება ისევ და ისევ ამ სკოლის მრავალეროვან აღსაზრდელთა საერთო სამშობლოს აღორძინება-განვითარებას, ძლიერი, დამოუკიდებელი საქართველოს აშენება-აყვავებას წაადგება სასიკეთოდ. სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნათელა ნატროშვილს ასე ესახება მომავალი წარმატებების მიღწევის გზები და საშუალებები:

„ყველაფერს ერთობლივი ძალისხმევით ვაკეთებთ, და საერთოდაც, ვერც ერთი სკოლის დირექტორი, რაც არ უნდა გამოცდილი იყოს, ვერაფერს გახდება, თუ მთელი პედაგოგიური კოლექტივის თანადგომა არ აქვს, ამ თვალსაზრისით, მასწავლებლების სახით მე საიმედო და ერთგული დასაყრდენი მაქვს, ყველანი ყოველთვის მხარში მიდგანან. მთელი პედაგოგიური კოლექტივი ერთი სულისკვეთებით ირჯება. მაღალი პასუხისმგებლობით ვემსახურებით მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეს. თამამად, ტრადიციულთან შეხამებით ვნერგავთ სიახლეებს და თანმიმდევრულად. დასავლური განათლების დარგის მიღწევების შეჯერებით და ოპტიმალური ვარიანტების შერჩევით ვახორციელებთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გარდაქმნას. ამასთან უცვლელ პრიორიტეტად სკოლისთვის ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს გულშემატკივარი, განათლებული, პატიოსანი და საქვეყნო საქმისთვის თავდადებული მოქალაქეების, აღზრდა გვაქვს დასახული.“



# ღამე კრწანისზე

**მოთხრობა**

**მიხეილ მრევლიშვილი**

მხატვარი **რევაზ ცუცქირიძე**

შემოდგომა სწვეოდა ორთაჭალისა და გარეუბნის ბაღებს. ქალაქის ვიწრო ხვეულებში ჭარბად გამდგარიყო ატმის, ახლად დაწურული ყურძნისა და ანაზდად მოქროლილი, დამბალი ტყავის შმორიანი სუნი დაბახანებიდან.

მკრთალად წვებოდა ბინდი ქუჩებში და ჩრდილი თრიალეთის მთებზე. ჩამავალი მზის სხივები ეთხოვებოდნენ ცადატყორცნილი გუმბათების ჯვრებს. სეიდაბადი, ნარიყალა და ანჩისხატი უფსკრულებში იძირებოდნენ. იწურებოდა დღე.

მიწყნარებულიყო შაითან-ბაზარი. მისძინებოდათ სამჭედლო გრდემლებს, მხიარული ჟღარუნით რომ ავსებდნენ დღეს. მისთვლემოდათ ყავახანებს და ჩაიხანებს. ჩრდილი დასდებოდათ ხარაზხანათა რიგებს. ოქრომჭედლებთან მიბინდულიყო ლალი და ფირუზი. მიყუჩებულიყო ოქრო და ალმასი.

წვებოდა ქალაქი მწუხრში. მხოლოდ აქა-იქ ისმოდა ხმაური, ისიც მინელებულად და ყრუდ.

განჯის შარას ქარავნები გაჰკროდა და ნელი ტაატი აქლემებისა შეჰხამებოდა ეჟვნების ჟღარუნს. ჩუმი შეძახილი ქარავანბაშისა და ანაზდად ნათქვამი სიტყვა სევდიანად დნებოდა დაისში.

განჯის კართან ტევა არ იყო. ქარვასლებში სადგომი ძვირობდა. დაუსრულებელი წყება აქლემებისა განსატვირთავად რიგში დგებოდა. გადმოჰქონდათ: ტყავი, ფარჩა და ატლასი. ქათიბი დიბისა და შალი ქაშმირისა. ჰალვა, ბრინჯი, ქიშმიში და კიდევ ათასი რამ — ზეთისხილი იერუსალიმის ბაღებიდან, თუ აბრეშუმი უჩინმაჩინის ქვეყნებიდან.

განჯის კარს გავიდა სათარა და ბინდბუნდში გაჰქრა, განჯის კარს გავიდა კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა და მოსეირნეთა ნაბიჯით კრწანისის ველისაკენ დაეშვა.

ბილიკები ჩაუდიოდა სეიდაბადის ბაღებს, გადადიოდა ატმების ორღობეში და ვაკეზე წვებოდა. შორს ჯერ კიდევ მოჩანდა გაცრეცილი ლანდი მეტეხის ციხისა. გამოღმივ შავნაბადა გადმოსდგომოდა მტკვარს. ნიავს მიჰქონდა მტკვრის ტკბილი დუდუნი და გარინდული უსმენდა თანაშეზრდილ მეგობარს.

ყმაწვილები ტირიფის ძირას ჩამოსხდნენ და სევდიანად გაჰხედეს მთა-გორებით შემოფარგლულ ველს.

სადღაც, ცივ-გომბორის თხემზე აფერადებულ შუქს ამოჰყვა სპილენძივით ავარვარებული, ვეება მთვარე.

ჩრდილები შეკრთნენ და შეირხნენ. ქვევით მტკვრის ზოლი ვერცხლის წყალივით აგოგმანდა და აზინდა. კრწანისის მწუხრი ქარვის შუქზე გადაიშალა.

—სათარ, თქვი რამე, — გაიწკრიალა ახალგაზრდა ქალის სანდომიანმა ხმამ, — დიდი ხანია არ მსმენია შენი სიმღერა.

მთვარის შუქზე გაწოლილ ველს ბაიათი სევდა-გოდებით აედევნა. ჰანგი მოედო მინდორს და ბაღს, ბილიკს და გზას, გულსა და დარდს. ის ემდუროდა კაცთა სიავეს, ბედის ვარსკვლავს და დუდუნს მტკვრისას.

მთის კალთები ჩამოინისლა. მხედარმა მუხლი მოიყარა, ხელი აღაპყრო ზეცისკენ და წაიდუდუნა: „მწყემსო კეთილო...“ სამას მუზარადს აედევნა სამასი კვნესა. უტყვი მოწამე მთლად მიყუჩდა, გაიტრუნა.

წამოიშალნენ აჩრდილები კრწანისის ველზე. მთაზე გადმოდგა შუბლმრისხანე პატარა კახი. რაინდები მწყობრად

დაეწყვნენ, სადღაც თარმა ჩაიწკრიალა. სადღაც ატოკდა დაფა-ზურნა: „დაჰკრეს ნაღარა“.

—ჰკა! — ბრძანა მეფემ და დაეშვა კრწანისისაკენ.

ყიჟინა და საომარი შეძახილები ზარბაზნის გრგვინვას გადაეჭდო. მუზარადზე გადატეხილი ფოლადის ხმა გულმოსულ კვნესას შეუერთდა და „ვითა ნადირსა მშიერი ლომი, ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი“.

მერე მიყუჩდა ყველაფერი. მიბინდულში გაჰქრნენ ლანდები. მოჩვენება უფსკრულებში გადაიჩეხა.

თარის ხმა მიწყდა. ოხვრა აღმოხდათ ტირიფთან მსხდომთ, ეს ოხვრა მტკვრის ბუტბუტს შეუერთდა, გაჰყვა ზვირთებს, გაამაოვდა.

—აქ გაწყდა ჩვენი მატიანე, — წაილუღლუღა ვიღაცამ და ლოდზე დაყრდნობილ, ჩაფიქრებულ ყმაწვილს გაჰხედა. ლოდს დაყრდნობილი შეტორტმანდა, ცასააყოლა თვალთა მზერა. მთვარის შუქი ობოლი ცრემლის წვეთში გალხვა.

—რაო, ტატო? — წაიჩურჩულა გვერდზე მდგომმა.

—არაფერი, აჩრდილები შენდობას გვთხოვენ, ჩემო კოტე! — ჩუმად მიუგო ტატომ და ლოდზე დაეშო.

—მართალია, ჩვენი ცრემლი ალალია კრწანისისათვის. — დაუდასტურა მეგობარმა.

—ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა და, ახლა რაღა... ცრემლი თუ დაგვრჩა სანუგეშოდ. — დასძინა ტატომ სევდიანად.

საუბარი ვეღარ აეწყო. ტკივილი იყო ალბათ დიდი. ახალგაზრდობა გაიფანტა კრწანისის ველზე. ზოგი დაეშო ქვევით მტკვრისკენ, ზოგი ბილიკით ზეგანს აჰყვა.

ეკატერინეც მოემზად. ტატო შეელივით წამოიჭრ, მიუახლოვდა, ხელი მოჰხვია, მიიზიდა.

—მითხარი რამე, ხმა გამეცი... — წაილუღლუღა მღელვარებით.

—რას სჩადი, ვეყო, ესლა უნდა ქალაქის ჭორს! — ცივად მოუჭრა კატინამ და გადაიზნიქა ლერწამივით, სახე აარიდა.

მთვარის შუქმა ოქროს ჯაჭვი ააკიაფა, პატიოსანი ამბარჩითა. ყურის ძირში საყურის ჩრდილი ათამაშდა. გიშრის თვალებში ნაღვლიანი ორჭოფობა ამოტივტივდა.

ტატო მოშორდა კატინას და ხეს მიეყრდნო.

—დაგვიწყებია, ცისიერო, შენი მგოსანი. მეგობრობა დაგვიწყებია!

—ბედმა გაგვთიშა, ჩემო ტატო.

—გადაწყვიტე დედოფლობა მეგრელიისა?

—არ გაგიგია არაფერი?

—გაუგებარი რა დარჩება ამ ქვეყანაზე?

—ტატო, გეთაყვა, არჩევანი ჩემზე არ იყო.

—მართალია, ეკატერინე, სად მეუღლე დადიანისა, დედოფალი სამეგრელოსი და სად მოხელე პალატისა, ვიღაც ფეხმოკლე ბარათაშვილი!

ტატოს თვალებში სევდიანი ღიმილი ჩაწვა. ქალი შეაკრთო ვაჟის კილომ. ახლა თვითონ მიუახლოვდა, ხელი ჩაჰკიდა, დააცქერდა.

—შენ ვერ გაიგე, ვერ მიმიხვდი. ჩვენი ბედი ჩვენ ხელთ არ არის, თავადმა დავით დადიანმა რუსეთიდან მეფის დასტური მიიღო და მამაჩემიც დაითანხმა.

ტატო მოშორდა კატინას და შორიახლო ისევ ხეს მიეყრდნო:

—თავადის ქალო, წმინდა გრძნობას მეფის დასტური რად სჭირდება?!

—მე მამის ნებას ვერ გადაველ! — შეესიტყვა ეკატერინე.

ტატოს უგულოდ ჩაეცინა, აეკრა ხეს. შეუნაწილდა ტირიფის ტოტს.

—ახლაღა მივხვდი რად გამშორდი იმ საღამოს ისე უსიტყვოდ, ისე ჩუმად, თვალცრემლიანი. რა ვიცოდი, თურმე ის ცრემლი სათვალთმაქცო, ჩემს ობლობას მოასწავებდა. — სთქვა ესა და თავბრუ დაეხვა, უფრო მიეკრო მოშრიალე ტირიფს. მკლავები ტო-



ტებს გადააჭდო ჯვარცმულსავით.

ეკატერინე აილეწა.

–ტატო, ნუ განმსჯი ასე მკაცრად!

ტატო თრთოდა. მის წინ ის დგას, ცისიერი, ჰაეროვანი, პირმცინარი... ანდამატივით იზიდავდა მიბნედილი თვალების კრთომა. იზიდავდა ეს მთრთოლვარე, ჩამოქნილი ნაზი ხელები და, მაინც გრძნობდა ამ ოცნების ამაოებას. გრძნობდა და ეს სიმწარე ამეტყველებდა:

–რად მომეჩვენა ეგ სინაზე ღვთაებრივ ლოცვად, როცა განსჯა არა გქონია, და რად მეჩვენა შენი ცრემლი წმინდა ცრემლად თანაგრძნობისა, როცა ყოფილა თურმე წვეთი საშინელი საწამლავისა!

შუბლი შეიკრა სადედოფლოდ გაწყობილმა ეკატერინე ჭავჭავაძემ.

–ჩემო ნიკოლოზ, იქნებ ზრდილობა შეგახსენო? – მედიდურად ჩაურთო მან.

–ბოდიშს მოვიხდი თქვენს წინაშე, ჩვენმა წარსულმა მეგობრობამ ამიყოლია, დედოფალო...

სიტყვა „დედოფალო“ დამცინავად მოედო ყურს.

–ჰაუ... აქეთ, ეკატერინე! – შესძრა დუმილი მოძახილმა. ტოლ-მეგობრები ეძახოდნენ.

ეკატერინე დაიძაბა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სიტყვას ვერ პოულობდა, მერე ისევ გადაიფიქრა, უსიტყვოდ გაშორდა და თავდახრილი ბილიკს აჰყვა. ქალის ლანდი მთვარის შუქზე მთის ფერდობზე გაგრძელდა და აქურციკდა.

ტატო ერთხანს აციალებულ ლანდს დააცქერდა, დაჭრილივით ამოიგმინა და თავისთვის წაიბუტბუტა:

–მამული არა, რწმენა არა, ტოლობა არა... რა გაუვალი უდაბნოა!

დადუმდა ველი. ახალგაზრდობის ჟრიამული თანდათან მიწყდა.

ტირიფსაკრული ტატო დუმდა, დიდხანსა დუმდა და ფიქრობდა. მერე სიომ გამოაფხიზლა. მიმოიხედა, გარსგამდგარი მდუმარებისა შეეშინდა. მოსწყდა ტირიფს. უგზო-უკვლობას აედევნა. საით ვიდოდა არ იცოდა, არც ფიქრობდა. ეგ არის, რომ გული სტკიოდა. თან მხნეობდა – იქნებ გალვიძებამ გამახაროსო.

თხემზე ასულმა გადახედა ღელეებით დასერილ ჭალას, ღრანტეებით დაფატრულ ველს, – ცოტა უნახავს სიმწარე და მაინცა ცოცხლობს. ჰყავის გაზაფხულს, შემოდგომის წვენითა ხარობს.

თვალი შეავლო შუბლშეკრული სარანგივით დადუმებულ შორეულ ტაძარს. გუმბათს მთვარე კელაპტრებად აციმციმებდა. – სწამს და დგას, დაიჩოქებს, – მაინც ადგება. შენც იპოვე რამე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოს მდგარი. იპოვე, ტატო, ხსნა იპოვე, ლოცვა იპოვე!

ლოდზე ჩამოჯდა...

ღამისა და დღის გასაყარზე დანისლული შორეული გუმბათის ლანდი უდაბნოში ამოზიდულ ტაძარს ჰგავდა.

–ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი, – წაიჩურჩულა უნებლიედ და თვითონვე შეკრთა.

–მერე?

გარიჟრაჟი ნაზად შეეხო წაბლისფერ თმას. ცისკრის სიომ შუბლის ნაოჭს მიუალერსა.

ტატო ჩაფიქრდა. კითხვა თავის პასუხს ელოდა.

სექტემბრის ღამე ნელა-ნელა იწურებოდა. აგერ – როდის მახათასთან მახარობელი მზის სხივები მოოქრული ყანწებივით ამოიწვერნენ. კოჯრიდან მოქროლილმა შემოდგომის დილის სუსხმა გაიისისინა. ქარმა მოჰბერა ცისკრის ლოცვის ზარების ხმა. სიონზე და ანჩისხატზე სამრეკლოები აგუგუნდნენ. გარემო ლითონის გალობით აივსო.

ზარების ხმა ძლიერდებოდა. გალობდა მთა, გალობდა ველი და ეს ხმები ცის გუმბათზე შემორჩენილ ვარსკვლავთ კრთომას უერთდებოდა.

გარიჟრაჟი ნაზად შეეხო წაბლისფერ თმას. გრილი სიო მხურვალე შუბლს მიესალბუნა.

ნიკოლოზი ზართა გუგუნს გარინდული უსმენდა და მოციმციმე ცისკრის ვარსკვლავს უსასრულო მანძილიდან უალერსებდა. ტატო გრძნობდა – ეს ციმციმი შვების სხივად ეფინებოდა განაწამებ უიმედობას.

–ნუთუ შენ ჰფინო შვების სხივი ჩემს გულსა კვალად, – ჩამოქნა მან გულის ძგერის მისაყუჩებლად. მერე თვითონვე ჩაეცინა უნდობლად, მწარედ, გესლიანად.

–არ დაუჯერო, ტატო, არა!... მაგასაც ბინდი რამ დაფარავს და უთუოდ დაგილამდება. ბინდმა დაფარა შენი ნიჭი და კაცობა, შენი სიტყვა თუ შაირი, უთვისტომობა თუ ობლობა. ეგ ბინდი კაცთა სიავეა. სამზეოზე ეფინებიან და თავისი ჩრდილით ცდილობენ შენს დაფარვას. ღრუბლიანს უნდა ღიელოდო. ღრუბლიანში ჩრ[illegible] არის. ღრუბლიანში ქარიშ[illegible]რგად ნათქვამი შენი სიტყვა შენთა მოყვასთ ქარიშხალში გამოადგებათ!.. ახლა კი წადი, სამართლისა და განჩინების პალატაში გელოდებიან. შენი მაგიდა გელოდება, შენი მუნდირი... იქ, ქალაქში გელოდებიან ჭორიკანა დედაკაცები, ჩინ-მენდლებში გამოწყობილი გენერლები. იქ ცოტა ბანქო. აქ ცოტა რამ ცეკვა-სიმღერა და, დამცინავი გამოხედვა კრინოლინში ჩაჭედილი ბანოვანისა:

–გაიგებდით, ლექსებსა წერსო ბარათოვი!... სასაცილოა, სწორედ გითხრათ, სასაცილოა...

სექტემბრის დილა შეიცვალა. ნისლი მოედო მამადავითს. ზენა ქარმა წამოუბერა და ღრუბელი მოედო ცას. ლოდს მიყრდნობილი, ფიქრსმიცემული ტატო იდგა და ვერაფერს ვერა ხედავდა, აწყვეტილ ფიქრს ადევნებოდა:

–არა, ტატო, იქნება ის, რაც შენა თქვი, უსამართლო განაჩენია, ბედის მომდურე უნიჭობის საფანელია. იქნებ არა გაგაჩნია რა, რომ მოკეთის ყურადღება დაიმსახურო... მაშ რაღას ერჩი იმ ბანოვანს?.. მართალი უთქვამს!...

შუბლზე წვიმის წვეთი დაეცა. შეაჟრჟოლა. უნებლიედ აჰხედა ცას. ცისკრის ვარსკვლავი საავდროში გაცრეცილიყო.

ჩაეცინა.

–უმალ აგიხდა წინათგრძნობა, შვებისა სხივს ბინდი მოედო. ვერა ხედავ, წუთიერია ყოველივე, ტაროსიცა და, ეს უცნაური საუკუნეც. დინჯად განსაჯე და მიხვდები. წმიდა ჯვარი, სათავე ჩვენი ერობისა, მღვდელმთავართა საქურდაო ნივთად ქცეულა. სახარება, ოპიზართა ნაჩუქურთმევი, ოქრომჭედელთა სათამაშოდ. სინდისი და პატიოსნება ჩინ-მენდლებზე სახურდავებლად. ნიჭიერება სათაკილოდ. უნიჭობა სათაყვანებლად. სად გაექცეს ადამიანი ამა სოფლის ამაოებას, სად არის ხსნა?!

ნისლი დააწვა მთასა და ველს. ელვამ გასერა ცის ტატნობი, სადღაც გრგვინვამ მერანივით გაიჭიხვინა.

–გასწი, მერანო!.. – აღტაცებით წამოიძახა ტატომ და ფაფარაყრილ ღრუბლებს დაეჭდო. ამ ალეწილში თუ უნდოდა თავისი ბედის ამოკითხვა. ან არა და, შავად მღელვარი ფიქრთა გაფანტვა.

# გელათით ხელში



მესმოდა ტირილი, მოთქმა, გოდება ზღაპრული ქვეყნის. მისი ცოდვისგან შეძრწუნებული ღამის მუმიაც დგებოდა უკუნითი სამარხიდან დ გაიძახოდა: — უშველეთ, არ დაგლიჯოს ამდენმა მტერმა, საზღვრები ჩაკეტეთ ქართველებმა, სუყველამ ერთად! — შავ სუდარას აფარებდა ქვეყანას და ჭირისუფალივით მოსთქვამდა, ცდილობდა თვისი კალთით დაეცვა პატარა სამოთხე.

მტერი მელიასავით მოიპარებოდა, თვალის ასახვევად ცხვრის ტყავში იმალებოდა, ხოლო როცა მიუახლოვდა მიზანს, აბობოქრდა, აღრიალდა, წამოვიდა ქარიშხალივით.

—მაინც არ მოგიშვებ, არ დაგანებებ თუნდაც ამ სუდარით დავიცავ სამშობლოს! — არ ეპუებოდა სამარხიდან ამდგარი და ლომად ქცეული ღამე. — მანამ ვიქნები ფარად, სანამ ყველა ქართველში არ გაიღვიძებს დავითი, გიორგი, საბა, მანამ, სანამ ყველა არ აიღებს ბრძოლისთვის კურთხეულ ხმალს! ხმალს, რომელიც მუდამ ხელთ ჰქონიათ, მზის სხივებით გაუკაჟებიათ, მტრის სისხლით მოურწყავთ და ბოლოს ცის ნამით და ვაზის ცრემლებით გაუწმენდიათ.

—ყველა?! ქართველები ხომ ერთი მუჭა ხართ?! ბეღურა რას დააკლებს მბრძანებელ არწივს? — ღრიალებდა ავბედითი გული.

—ბეღურა არწივს ვერაფერს დააკლებს, მაგრამ წრფელი სიყვარული ყოველთვის სძლევს ბოროტს. მბრძანებელი არწივი კი არ არის, არამედ თვით უფალია ზეცაში! — დაიგრუხუნა ღამემ. მერე თავისი ყორანივით შავი თმები შემოახვია ქვეყანას და ამით კიდევ ერთი აუღებელი გალავანი შემოარტყა მას და იჯდა ასე, როგორც ქვრივი დედა ახალშობილის აკვანთან. — თუ გონზე მოხვალთ, თქვენც მოგნათლავთ უფალი ცის ნამით და მზის სხივებით, შეგიყვარებენ ქართველები და გასწავლიან აკეთოთ სიკეთე. მაშინ სიყვარულს დაინახავთ მთელ სამყაროში და უფალს დაინახავთ ანკარა წყალში, — კვლავ დამოძღვრა ღამემ სატანის მოციქული.

—ქართველებმა რა უნდა მასწავლონ?! ერთ-ერთი მათგანი ხომ ყოველთვის ყიდდა სამშობლოს. ერთ-ერთი ხომ სამშობლოს მარგალიტზე, ფირუზ ცას — ოქროს ნატეხზე ცვლიდა?! — ირონიულად ხარხარებდა ავსული და თან სიძულვილის ცეცხლისაგან დამწვარი ხელით იგლეჯდა გაბანჯგვლულ წვერებს.

—მაგრამ არ დაგავიწყდეს, ეშმაკის გზავნილო! ახლა სხვა დროა!!! გახედე ცას, ვარსკვლავი ციმციმებს მიწიერ სამოთხეში, ეს კი გამოღარების ნიშანია! ვეღარ მოასწრებ, რადგან იღვიძებს ქართველი ერი!!!

ღამეს დიდი გალავანი შემოევლო საქართველოსთვის. ამ სამოთხეში კი აჩახჩახდა სიცოცხლის მზე, დაეპკურა არემარეს წმინდა ნამი, ხოლო შუა მინდორზე მოაბიჯებდა პატარა ბიჭი გელათით ხელში. მაშინ კი შვებით ამოისუნთქა ღამემ, მზრუნველობით, სიყვარულით აღსავსე გიშრის თვალები მიაპყრო მას და სიხარულით ჩაიჩურჩულა: — აღსრულდა ნება! გაიღვიძა იმ სისხლის ჩქეფამ. მოდის, მოაბიჯებს პატარა დავითი, კვლავ საქართველოს მხსნელად! — ეს თქვა, ყორანივით შავი თმები აიკრა, ფრთები დაკეცა და სამუდამოდ ჩამოშორდა ივერიას.

პატარა ბიჭი კი მოაბიჯებდა გელათით ხელში და მის უკან მოდიოდა გაბრწყინებული ქართველი ერი.

**მარიამ მჭედლიშვილი,**
**ქ. ქუთაისი, მე-14 საჯარო სკოლა,**
**IX კლასი**



ნიკა ჩხეტიანი,
მესტიის რაიონი,
სოფელი ჭუბერი. IV კლასი





ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე, წიგნი და კომპიუტერი



ვარ სერიოზული და ამავე დროს ძალიან მხიარული, არ ვიცი, როგორც გინდათ, ისე გაიგეთ. სასკოლო საგნებიდან ყველაზე მეტად მათემატიკა, საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორია და საქართველოს ისტორია მიყვარს და მაინტერესებს. წიგნები ძალიან მეხმარება ცოდნის შეძენა-გაღრმავებაში, ამ საქმეში კომპიუტერიც დიდ სამსახურს მიწევს. კითხვით კი, ვკითხულობ ყველაფერს, რაც დამაინტერესებს. ცოტა ხნის წინ ინტერნეტში ერთ საიტზე შუა საუკუნეების მსოფლიოს ისტორიას წავაწყდი და ახლა ვკითხულობ ანგლო-საქსების, დანებთან მათი ბრძოლის შესახებ. თუ ვინმეს დააინტერესებს ეს თემა, შემიძლია საიტი ჩავაწერინო... ისე, სიმართლე თუ გინდათ, ყველაფერს მაინც ფეხბურთი მირჩევნია, რაც შეეხება წიგნებსა და კომპიუტერს, ჩემი აზრით, ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლის, პირიქით — ავსებს.

**ლევან თუშიშვილი**, თბილისის 89-ე საჯარო სკოლა, X კლასი.



მიყვარს მუსიკა, ცეკვა, კალათბურთი, კომპიუტერშიც ინტერნეტიდან ძირითადად მუსიკას ვუსმენ, მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედიასაც ინტერნეტიდან ვსწავლობ. სასკოლო საგნებიდან ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია მიყვარს. რაც შეეხება საზოგადოდ საკითხავ წიგნებს, უფრო ფსიქოლოგიური ჟანრის ლიტერატურა მომწონს, გასართობად კი რომანებსაც ვკითხულობ. ჩემს თვალში კომპიუტერსაც და წიგნსაც ერთნაირი დანიშნულება აქვს, მთავარი დროში შეთავსებაა. საერთოდ კი თითოეულს უნდა შეეძლოს იმით სარგებლობა, რაც არსებობს და გამოგონილია. როდესაც ინტერნეტში მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედიას ვეცნობი, კომპიუტერს ვერავინ და ვერაფერი მომწყვეტს. ძალიან მიტაცებს არაბული სამყარო, არაბთა ისტორია, ქალაქები, მათი ცხოვრების ყველა მხარე, განათლება, მედიცინა, მეცნიერება და ა.შ. ვფიქრობ, ინტერნეტის უპირატესობა წიგნის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ ის თითქოს აცოცხლებს სურათებს და საერთოდ ყველაფერს, წიგნი კი ერთგვარად ცივი სამყაროა, თუმცა ისიც ძალზე საჭიროა.

**მარი ქევხიშვილი**, თბილისის 161-ე საჯარო სკოლა, $IX^4$ კლასი



საერთოდ მიყვარს წიგნების კითხვა, გამორჩეულად კი დეტექტიური და სათავგადასავლო ლიტერატურა მიტაცებს, წაკითხული მაქვს ჟიულ ვერნის ყველა ნაწარმოები, რაზეც კი ხელი მიმიწვდა, ახლა კი აგათა კრისტის ვკითხულობ. კომპიუტერთან ურთიერთობაც მომწონს, მაოცებს მისი განუზომელი შესაძლებლობები, თუმცა მიმაჩნია, რომ იმის მოცემა, რასაც წიგნი იძლევა, მას არ შეუძლია, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ პირადად მე კომპიუტერი წიგნების კითხვაში ხელს არანაირად არ მიშლის.

**ნუნუ მიროტაძე**, თბილისის 161-ე საჯარო სკოლა, $IX^4$ კლასი



სწავლა მიყვარს, არ ვზარმაცობ, განსაკუთრებით ქართულ ლიტერატურას და გერმანულ ენას ვსწავლობ სიამოვნებით. ვოცნებობ გავხდე გერმანული ენის სპეციალისტი და საზღვარგარეთ ვიმოგზაურო. წიგნებს სიამოვნებით ვკითხულობ, ახლახან დავამთავრე ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა" და „ხევისბერი გოჩა", ახლა კი დავიწყე გიორგი პაპუაშვილის წიგნის „პატარა მოთხრობები დიდ ამბავზე" კითხვა. კომპიუტერთან მუშაობა დღეს ყველამ უნდა იცოდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წიგნები აღარ უნდა ვიკითხოთ. პირადად მე, როცა საინტერესო წიგნს ვკითხულობ, ხელს ვერაფერი შემიშლის, მათ შორის ვერც კომპიუტერი.

**სალომე ქევხიშვილი**, თბილისის 161-ე საჯარო სკოლა, VIII კლასი

მოამზადა **ნათია ნიკოლაიშვილმა**

# ქართული სკოლის ჩინელი მოსწავლე

თავიდან სტუმართმოყვარე თბილისელებს ძალიან უკვირდათ, ზოგს კი აღიზიანებდა კიდეც, საკუთარ ქალაქში ჩინელების, მათი მაღაზიებისა და რესტორნების მომრავლება, მაგრამ ისე, როგორც ბევრ სხვა რამეს, ამასაც შევეჩვიეთ და დღეს უკვე აღარავინ აცილებს ქუჩაში მიმავალ მკვეთრად განსხვავებულ გარეგნობის ადამიანებს გაოცებული მზერით. თუმცა, ვფიქრობთ, ჩინელების გათბილისელებას შეჩვეულებს ამბავი, რომელსაც დღეს გაგაცნობთ, მაინც გაგაკვირვებთ.

დედაქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ, 55-ე საჯარო სკოლაში ორი ჩინელი მოსწავლეა, ორი და, გვარად ვანიპლური ქართველ თანატოლებთან ერთად გულმოდგინედ სწავლობს ქართულ ენას, ლიტერატურას, კულტურას, საქართველოს ისტორიას და ყველა სხვა საპროგრამო საგანს. სკოლაში მისულმა მე მხოლოდ უმცროს დასთან, კოკოსთან შეხვედრა და გასაუბრება შევძელი, რადგან როგორც გაირკვა, უფროსი და, მომო გაისად ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე აპირებს გამოცდების ჩაბარებას და მთელი სერიოზულობით ემზადება მომავალი ეროვნული გამოცდებისთვის, ამიტომაც სკოლაში სიარულს ვეღარ ახერხებს.

ჩემი რესპონდენტი, მერვეკლასელი კოკო ძალიან სასიამოვნო, პირლიმილიანი და თბილი გოგონა აღმოჩნდა, იგი საკმაოდ გამართულად საუბრობს ქართულად და ხშირად იღიმება. კოკო მშობლებთან და დასთან ერთად რვა წლის წინათ ჩამოსულა საქართველოში და მას შემდეგ აქ ცხოვრობს. ქართველი მასწავლებლები ძალიან აქებენ ორივე დას, ნიჭიერები, ბეჯითები და შრომისმოყვარეები არიანო. კოკომ ძალიან გამამხიარულა, როდესაც საქართველოში ჩამოსვლის პირველი შთაბეჭდილების შესახებ მიამბო. გავოცდი, როცა დავინახე, რომ გარშემო ყველას დიდი თვალები ჰქონდა და ისე მათვალიერებდნენ, რომ თავი ზოოპარკის გალიაში დამწყვდეული ცხოველი მეგონაო. კოკოც შეეჩვია ქართველების დიდ თვალებს და გაოცებულ მზერას, თუმცა ერთი ჩვენი თანაქალაქელი ქალბატონის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა, რუსთაველზე სეირნობისას რომ მიუყენებია, — ნუ გვავიწროვებთ, ჩინელებო, წაეთრიეთ თბილისიდანო, დღესაც მწარედ ახსოვს და გულს სტკენს. მაგრამ გონიერმა გოგონამ იცის, რომ ასეთი ადამიანები ერთეულებს შეადგენენ და მათი გამოხდომები ვერ დაჩრდილავს ქართველების სითბოსა და სტუმართმოყვარეობას.




—ქართველები ყურადღებიანი, თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია, — ღიმილით აღნიშნა კოკომ, — სრულიად უანგაროდ დაგეხმარებიან გაჭირვების ჟამს, ჩინელები ასეთები არ არიან, მაგალითად, ჩინეთში გზაზე მანქანა თუ გაგიფუჭდა, ან ნებისმიერი სხვა პრობლემის პირისპირ აღმოჩნდი, ჩინელი დახმარების სანაცვლოდ ფულად ანაზღაურებას მოგთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ბედის ანაბარა მიგატოვებს.

კოკოს სკოლაც ქართული უფრო მოსწონს, ჩინურ სკოლებში ისეთი სიმკაცრეა, რომ ბავშვები სულ დაძაბულები არიან და ვეღარ სწავლობენ, საქართველოში კი მასწავლებლებს კეთილმოსურნე, მეგობრული დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებთან და ამიტომაც აქ სწავლა გაცილებით ადვილი და სასიამოვნოაო. ჩინელ გოგონას თანაკლასელებიც ძალიან მოსწონს, თბილად, მეგობრულად მექცევიან, ჩემს თავს არავის დააჩაგვრინებენ და თუ ვინმე დამცინებს, მიცავენო.

კოკო იმდენად შეეჩვია საქართველოს, თბილისელებს, აქაურ ყოფას, ადამიანებს, თანატოლებს, ქართულ სამზარეულოს, რომ როგორც თვითონ მითხრა, როცა ოჯახთან ერთად ჩინეთში ჩადის ხოლმე, იქ გაჩერება უჭირს, საქართველო ენატრება და ერთი სული აქვს მალევე დაბრუნდეს აქ. სხვათა შორის, კოკო ჩინურად მხოლოდ ლაპარაკობს, წერა-კითხვა არ იცის, წერითაც და კითხვითაც ქართულად კითხულობს და ქართულად წერს. კოკოს ხატვაც ძალიან უყვარს, იგი დიზაინერობაზე ოცნებობს და მომავალში თბილისის სამხატვრო აკადემიაში აპირებს გამოცდების ჩაბარებას. საქართველოზე შეყვარებულ ნიჭიერ ჩინელ გოგონას უკვე მზად აქვს ესკიზები, რომელთა მიხედვითაც აპირებს ქართულ-ჩინური კოსტიუმების ნაზავის შექმნას. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, მოდის სამყაროში გამოჩნდეს კიდევ ერთი საინტერესო სახე სახელად კოკო, ოღონდ არა შანელი, არამედ ვანიპლური.

**ქეთი ჩოგოვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიწყებთ თამაშს პრიზებით



## ვიქტორინა — კონკურსი „ჭკუის კოლოფებისათვის"



*ამბობენ, პირველი ვიქტორინა ადამიანებს სფინქსმა გაუმართაო, სინამდვილეში კი არავინ იცის, ვინ, სად, როდის და როგორ მოიგონა ვიქტორინა, მისი რაობა კი, ვფიქრობთ, ყველასათვის ცნობილია — ეს არის ერთგვარი თამაშობა, რომლის დროსაც მონაწილეებმა უნდა უპასუხონ მთელ რიგ კითხვებზე ცოდნის სხვადასხვა დარგიდან. დღეს ათასგვარ ვიქტორინაში უამრავი ადამიანი მონაწილეობს. ზოგი აღწევს მიზანს, ზოგი — ვერა, საბოლოო ჯამში კი ყველა მოგებული რჩება, თუნდაც იმიტომ, რომ ვიქტორინის კითხვებზე პასუხების ძიებაში დიდძალ ლიტერატურას ფურცლავს, ბევრ ახალ რამეს იგებს, ცოდნას იმდიდრებს და თვალსაწიერს იფართოებს.*

*გიწვევთ ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად და გთავაზობთ პირობებს:*

*თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლია „ნაკადულის" ყველა მკითხველს. პასუხების შეფასებისას მხედველობაში მიიღება არა მარტო პასუხის სისწორე, არამედ მისი მოწოდების ფორმა, მახვილგონიერება და ორიგინალობა.*

*გამარჯვებულები, რომლებიც ქულათა მაქსიმალურ რაოდენობას დააგროვებენ, დაჯილდოვდებიან სხვადასხვა ოდენობის ფულადი პრიზებით, ჟურნალ „ნაკადულის" წლიური ხელმოწერით, სხვადასხვა საბავშვო ორგანიზაციების მიერ დაწესებული სამახსოვრო პრიზებით და საჩუქრებით. შედეგები დაჯამდება გაზაფხულზე, 2006-2007 სასწავლო წლის ბოლოს.*

*პასუხის გამოგზავნისას ზუსტად მიუთითეთ თქვენი სახელი, გვარი, მისამართი, სკოლა, კლასი, ტელეფონის ნომერი. ჩვენი მისამართი და ტელეფონის ნომრები მოცემულია ჟურნალის პირველ გვერდზე. ველით თქვენს პასუხებს.*

*გისურვებთ წარმატებას!*

## I ტური

### გეოგრაფია

1. მდინარე არაგვის სისტემას ოთხი არაგვი ქმნის – გუდამაყრის, ხევსურეთის, მთიულეთის და ფშავის. ერთი მათგანი თეთრი, მეორე კი შავი არაგვის სახელითაა ცნობილი. რომელია ეს ორი არაგვი?

2. რა ერქვა ავსტრალიას, ვიდრე მას ევროპელები აღმოაჩენდნენ და როგორ ითარგმნება ამ მატერიკის ამჟამინდელი სახელი?

3. სად, რომელ მატერიკზე შეიძლება შევხვდეთ ფრინველებს, რომლებიც არ დაფრინავენ, ძუძუმწოვრებს, რომლებიც კვერცხს დებენ, თევზებს, რომლებიც ფილტვებით სუნთქავენ?



4. რომელ მდინარეს მიესაჯა 2000 წლის წინათ სიკვდილით დასჯა და რატომ?

5. რომელ სახელმწიფოს ჰქვია ესპანეთის კოლონიების გათავისუფლების ბრძოლის ხელმძღვანელის სახელი?

6. რომელ მატერიკზე არ არის მდინარეები?

7. რომელი მდინარე კვეთს თავის გზაზე ეკვატორს ორჯერ?

8. რომელი სახელმწიფოს სახელწოდება ითარგმნება როგორც „ღირსეულ ადამიანთა სამშობლო?"

9. რომელია საქართველოში უმაღლესი დასახლებული პუნქტი?

## იცოდი, რომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ადამიანი სიცოცხლის მესამედს ძილში ატარებს

იცით, სიცოცხლის რამდენ წელს ატარებს ადამიანი ძილში? რამდენს და 25-ს! აუჰ! – დარწმუნებულები ვართ, როცა ამას გაიგებს, უმრავლეს თქვენგანს გაკვირვების გამომხატველი ეს შორისდებული აღმოხდება, არადა, მეცნიერებმა მრავალწლიანი დაკვირვება-კვლევების შედეგად სწორედ ასეთი დასკვნა გამოიტანეს, თუმცა იგივე მეცნიერებმა ძალიან დიდხანს ცოტა თუ იცოდნენ იმის შესახებ, თუ რა ხდება ადამიანის ტვინში, როდესაც ის ლოგინში წვება, საბანს იფარებს, თვალებს ხუჭავს და იძინებს. საიდუმლოს ფარდა გერმანელმა ექიმმა ჰანს ბერგერმა ახადა, რომელმაც 1924 წელს შეძლო დაერეგისტრირებინა ელექტროდენები ადამიანის ტვინში, ამას კი მან შემდეგნაირად მიაღწია – მძინარე ადამიანს ბერგერმა თავზე ვერცხლის ფირფიტები დაუმაგრა და ეს ფირფიტები საზომ ხელსაწყოს მიუერთა. მას შემდეგ 80 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ძილის შესასწავლად დღესაც ბერგერისეულ მეთოდს იყენებენ. სპეციალურ ლაბორატორიაში ადამიანი უბრალოდ ლოგინში წვება და იძინებს, აპარატი კი გრძელ ქაღალდზე აფიქსირებს ტვინის დენებს. თქვენ რომ ამ ქაღალდის დახედვა შეგეძლოთ, დაინახავდით, რომ მშვიდი ტალღების ნახატი ანაზდად კლაკნილი ხაზით იცვლება. თურმე, ძილში ჩვენი ტვინი არა მარტო ისვენებს, არამედ დროდადრო ძალზე დაძაბულადაც მუშაობს. ღამის განმავლობაში სხვადასხვა სახის ძილი თითქოს რაღაც განრიგის მიხედვით ენაცვლება ერთმანეთს. თავიდან ჩვენ მსუბუქად ვთვლემთ, მერე უფრო ძლიერად ვიძინებთ, ნახევარი საათის შემდეგ კი ღრმა ძილს ვეძლევით. ზოგ მეცნიერს მიაჩნია, რომ ეს, ასე ვთქვათ „განწყობის“ დროა, როდესაც ტვინი სისხლიდან განსაკუთრებულ „საწვავს“ – გლიკოგენს შთანთქავს.

ღრმა ძილს ძალიან მალე მოსდევს საკმაოდ შფოთიანი ფაზა. უეცრად დახუჭულ მდგომარეობაში თვალები ქუთუთოების ქვეშ აქეთ-იქით სწრაფად მოძრაობას იწყებს, ტვინი კი ამ დროს აქტიურად მუშაობს. ამ დროს თურმე მეხსიერების გაწმენდა ხდება. მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამიერიდან ხანგრძლივ მეხსიერებაში იქნება დაცული, ხოლო უმნიშვნელო ცნობებისგან, მაგალითად, შემთხვევითი ტელეფონის ნომრებისგან მეხსიერება საერთოდ თავისუფლდება, იშორებს მათ და მორჩა, რაღად სჭირდება?!




**დავუშვათ, შენ 10 საათზე დაწექი დასაძინებლად. მსუბუქი და საშუალო ძილის შემდეგ (თვალი გააყოლე საფეხურებრივ ხაზს) ღრმა ძილი დგება. ტვინი გლიკომენით „იტუმბება“, მერე დგება პირველი ფაზა REM (Rapid Eye Movement, „თვალების სწრაფი მოძრაობა“), და შენ სიზმრებს ხედავ, ძილის ფაზების მონაცვლეობა დილამდე გრძელდება, ამასთან REM ფაზების უფრო და უფრო გრძელი ხდება, ღრმა ძილი კი საერთოდ ქრება.**

თვალების აქეთ-იქით გამალებული მოძრაობის ფაზა შთამბეჭდავი სიზმრების დროცაა. ჩვენი ტვინი რეალურ ამბებსა და ფანტაზიას ერთმანეთში აზავებს და არაჩვეულებრივ ისტორიებად აქცევს მათ. სიზმარში ჩვენ თითქოსდა პარალელურ სამყაროში ვხვდებით, სადაც სულ სხვა კანონებია და სადაც დრო და სივრცე უჩვეულოდ იქცევიან. ყოველივე ეს დადგენილი კია, მაგრამ რისთვის არის ეს საჭირო ჯერაც უცნობია.

სიზმრები ჩვენ ხანგრძლივი გვგონია, რამდენჯერ ყოფილა, რომ ისეთი შეგრძნებით გაგვღვიძებია, რომ მთელი ღამე რაღაც გვესიზმრებოდა, სინამდვილეში კი სიზმარი, თურმე სულ რამდენიმე წამს გრძელდება. ამ სიზმრისეული მიკროსეანსების დროს ვიღაც ლამაზ კადრებს, კეთილად დამთავრებულ ლამაზ ოცნებებს ნახულობს, სხვა — კოშმარებს. ისიც გავიხსენოთ, რა ბედნიერები ვიყავით სიზმარში, როცა ზეცაში დავფრინავდით ან სინამდვილეში გარდაცვლილი ახლობელი ადამიანი ცოცხალი გამოგვეცხადებია... მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგებით დადგინდა, რომ ბავშვის სიზმრები უფროსების სიზმრებისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ პატარებს ბევრად უფრო ხშირად ესიზმრებათ ცხოველები. თავად ცხოველებს კი სულ სხვანაირად, ადამიანებისგან ძალზე განსხვავებულად სძინავთ. მაგალითად, გველებს თვალგახელილებს სძინავთ, ყარყატები ცალ ფეხზე დგანან და ისე, დელფინებისა კი მხოლოდ ტვინის ერთი ნახევარი იძინებს, მეორე კი ფხიზლობს. თუმცა ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა.



### ვის რამდენი სძინავს?

სიცოცხლის პირველ დღეებში ჩვილს დღე-ღამეში 22 საათი სძინავს, უმცროსი და საშუალო ასაკის მოსწავლეებს — 10 საათი, ზრდასრულ ადამიანს კი 6-7 საათი. თუმცა ყველა ადამიანს ძილის დროს ორგანიზმის აღდგენის სხვადასხვაგვარი თავისებურებები ახასიათებს. მაგალითად, ნაპოლეონ ბონაპარტეს დღე-ღამეში მხოლოდ 4 საათი ეძინა, ლეონარდო და ვინჩი კი ყოველ 4 საათში 15-15 წუთით იძინებდა (გამოდის, რომ დღეში მას სულ 1,5 საათი ეძინა ხოლმე) სამაგიეროდ, ალბერტ აინშტაინს, ნორმალურად რომ ეგრძნო თავი, 10 საათი მაინც უნდა სძინებოდა. ძილის ხანგრძლივობის სხვა მონაცემებიც არსებობს, მაგრამ ეს უკვე გადახრებია — მაგალითად, ვინმე ნადეჟდა ლებედინას 20 წელი ეძინა (დიახ, ამ ადამიანმა ჩვეულებრივად დაიძინა და მხოლოდ 20 წლის შემდეგ გაიღვიძა), საპირისპირო რეკორდი კი ამერიკელ რობერტ მაკდონალდს ეკუთვნის — მას 453 საათის განმავლობაში (თითქმის 19 დღე-ღამის) არ დაუძინია. ნარკოლეფსიით დაავადებულ ადამიანებს კი ყოველ წუთს შეუძლიათ წამიერად და საამისოდ შეუფერებელ ადგილებში, ვთქვათ, ქუჩაზე გადასვლისას ან მეტროს ესკალატორის საფეხურზე დაიძინონ. მთვარეულებიც არსებობენ, ძილში ისინი დადიან კიდეც და ლაპარაკობენ კიდეც, გამოფხიზლებულებს კი არაფერი ახსოვთ.

# არა - ნარკოტიკებს!

ნარკოტიკების მოხმარების ისტორია ათასწლეულებს ითვლის, ძნელად დასაძლევ პრობლემად, კაცობრიობის გამანადგურებელ სენად კი მათი მოხმარება ჩვენს საუკუნეში იქცა. მთელი შეშფოთებული მსოფლიო ირაზმება ამ ბოროტებასთან საბრძოლველად, იქმნება ანტინარკოტიკული ორგანიზაციები, იქმნება სამკურნალო დაწესებულებები, ძლიერდება ახსნა-განმარტებითი ღონისძიებების კამპანია. ბოლო დროს ნარკომანიასთან ბრძოლამ საქართველოშიც უფრო ინტენსიური და ორგანიზებული ხასიათი მიიღო, გაჩნდა ახალი ტენდენციები, მიმართულებები ამ ბრძოლაში, შედეგად კი სულ უფრო მეტი ნარკომანი მიმართავს სამკურნალო-სარეაბილიტაციო დაწესებულებებს, რაც იმედს იძლევა, რომ ჩვენი საზოგადოება ბოლოს და ბოლოს შეძლებს ამ პრობლემის გადაჭრას. გთავაზობთ ინტერვიუს ერთ-ერთ ნარკომანთან, რომელსაც ბოლო დრომდე ბევრი მისი თანატოლის მსგავსად, მიაჩნდა, რომ ნარკოტიკი კარგი „პონტია“, რომელიც ქუჩაში, თანატოლების წრეში თვითდამკვიდრებას უწყობს ხელს. ინტერვიუ მოამზადა თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის X კლასის მოსწავლემ თამუნა ქოთოლაშვილმა, რომელმაც ეს ინტერვიუ მოსწავლეთა მე-60 სასწავლო კონფერენციისთვის დაწერილ თემაში ჩართო (გასაგები მიზეზების გამო ინტერვიუერის ვინაობა გაუმჟღავნებელი რჩება).



**—როგორ მიხვედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ გემკურნალათ?**

—მინდა შევეშვა ნარკოტიკს, იმიტომ, რომ ყველაფერი მომბეზრდა, მომბეზრდა ეგეთი ცხოვრება... წამლის გამო ბევრი რამ დავკარგე: ცოლი, სამსახური, მეგობრები...

**—შეიცვალა თქვენი ურთიერთობა ოჯახთან და მეგობრებთან მას შემდეგ, რაც ნარკოტიკის გამოყენება დაიწყეთ?**

—შეიცვალა ოჯახთანაც და მეგობრებთანაც, აგრესიული გავხდი, აღარაფერი მსიამოვნებდა; ისეთ მდგომარეობაში ხარ, რომ საკუთარი ცოლშვილიც კი გაღიზიანებს, არავის დანახვა აღარ გინდა. ისინი ცდილობდნენ ჩემთვის ხელი შეეწყოთ, დამხმარებოდნენ, მაგრამ ბოლოს იმათაც ყელში ამოუვიდათ. ბევრი მეგობარი საერთოდ დავკარგე. მერე, ჟარგონის ენაზე რომ ვთქვათ, „ახალ სასტავში გავიჩითე“, მაგრამ იმათ მანამ მოვწონდი, სანამ გაიგებდნენ, რომ ნარკომანი ვიყავი.

**—მალავდით ნარკომანი რომ იყავით?**

—კი, ვმალავდი, არ მინდოდა ჩემს მეგობრებს რომ გაეგოთ; ნამდვილად არაა სასიამოვნო, როცა ადამიანი ნარკომანია; მერე აღარავის მოსწონხარ, ცუდად გიყურებენ, აღარ გენდობიან. ახლა ძალიან ვნანობ, რომ ოდესღაც ნარკომანი ვიყავი, მაგ საზიზღრობას აღარასოდეს გავეკარები.

**—როგორ შეხვდნენ თქვენი მეგობრები თქვენს გადაწყვეტილებას, მკურნალობის კურსი გაგევლოთ?**

—ვინც ჩემი ნამდვილი მეგობარია, გაუხარდა, ჩემი წამლის მეგობრები კი დარწმუნებულები არიან, რომ ისევ დავიწყებ.

**—ნარკომანი პოპულარული ადამიანია?**

—რასაკვირველია არა, თუმცა ვიცი ბევრი ადამიანი, რომელიც თამაშობს, ვითომდა კაიფშია. ჩვენს წინა თაობაში იყო ნარკომანია პოპულარული, ჩემს თაობაში კი ასე აღარაა: ძალიან იშვიათად თუ იტყვის ვინმე კარგს ნარკომანზე.

**—რატომ გამოიყენეთ პირველად ნარკოტიკი?**

—მაინტერესებდა, რა „კაიფი“ ჰქონდა: ხომ იცი, როგორი ცნობისმოყვარეა ადამიანი, თანაც მეზობელი მყავდა „ბარიგა“, თხოვნაც არ მჭირდებოდა, ისე მქონდა ხოლმე ნარკოტიკი; როცა იკეთებ, მსოფლიოს მბრძანებელი გგონია თავი, მერე, დრო რომ გადის, მხოლოდ იმიტომ იკეთებ, რომ ადამიანი იყო...

**—იცოდით, რომ შეიძლებოდა მსგავს სიტუაციაში აღმოჩენილიყავით?**

—ვიცოდი. ვიცოდი, რომ ეს იყო ჩემი ბოლო, მაგრამ მაინც ვიკეთებდი; ფიქრობ, რომ შენ ეს არ დაგემართება, რომ შენს შემთხვევაში ყველაფერი სხვანაირად იქნება.

**—რას ფიქრობთ ანტინარკოტიკულ მოძრაობებზე, მოსდევს ამას რაიმე შედეგი?**

—ასეთი მოძრაობა აუცილებლად უნდა არსებობდეს, მე მჯერა, რომ ისინი შედეგს მიაღწევენ, თუმცა საკმაოდ რთულ საქმეს შეეჭიდნენ. როცა გაიგებ, რა არის ნარკომანის ცხოვრება, სულელი უნდა იყო, რომ მაინც გაბედო და გაიკეთო.

**—დაბოლოს, რას ურჩევდით მოზარდებს?**

—ცხოვრებაში რაც შეიძლება მეტი საქმით დაკავდნენ, ისე, რომ ტვინში არ დარჩეს ერთი უჯრედიც კი, რომლითაც ნარკოტიკზე იფიქრებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფიქრის მარგალიტები



# მორის ფოცხიშვილი

## გახსენება

*„როცა ვიტყვი „ი“,*
*მაშინ გამო... დი!“*
*ბალღური*

თითქოს გუშინ დასრულდა
შინ და გარეთ, შინ,
ჭრელკაბიან ასულთან
თა...მა...ში...
„ენკი, ბენკი, სიკლისა“,
ენკი, ბენკი, და–
დღენი სიყმაწვილისა
გა...ვი...და.
მოველ შენს ფანჯარასთან
და ვდუდუნებ, „ი“,
შენ კი, შენ კი, არა და
არ გა...მოხვე...დი.
როგორ დაგვიწყებია
„ენკი, ბენკის“ ხმა,
რა ხანია, გძებნი და
ვერ მი...პოვი...ხარ.
მოდი, მოდი, დამბუგე,
მოდი, როგორც გსურს,
თორემ ვინ რას გაუგებს
გაგი...ჟებულ გულს...
„ენკი, ბენკი, სიკლისა,
ენკი, ბენკი, და...“
არა თქვან: სიჭაბუკეც
გა...ვი...და...

## ვინც ამ გოგოს გააცინებს

შტოზე ვაშლი გარჩენილა,
ვინც მისწვდება — მისია,
ვინც ამ გოგოს გააცინებს,
გოგოს გული მისია...
ეს ცხოვრება ასე არის,
ის ცხოვრება ისეა.
–ეს მანდილი ვისი არი?
–ეს ჩანგური ვისია?
–ეს ხომ ჩემი დისი არი...
–ეს ხომ ჩემი ძმისია!
ვკისკისებდით მალხაზები,
დარდი გვქონდა რისია?!
თურმე დასასრული იყო,
მე ვთქვი — დასაწყისია,
როგორ გაჰქრა სიყმაწვილე,
ველარ ამომიხსნია.
შტოზე ვაშლი გარჩენილა,
ვინ გაიგოს, ვისია?
ბაღში გოგო დაგოგმანებს,
გოგოა თუ ნისლია?!
ვინც გაიგებს, ვინც დაიჭერს,
ვინც აკოცებს — მისია.
ეს ცხოვრება ასე არი,
ის ცხოვრება ისეა.

## ნადირობა

ჭალაში ბალანაშლილი
თეთრი სეტერი ქრის...
მწყერი ბალახში წრიალებს,
აფრინდება და...
ფრრი...
სანამდე არ აფრინდება,
არავინ ერჩის მწყერს.
ვაიმე, ჩემი სიცოცხლეც
იქნებ ასეა დღეს.
ვიდრე მიწაზე დავდივარ,
ყველა სიკეთეს მგვრის, —
ავფრინდები და...
ვაიმე...
ავფრინდები და ფრრი...
ტყვიაც იწივლებს შურისა,
მთლად მომიმსხვრევენ
ფრთებს,
სანამდე არ აფრინდება,
არავინ ერჩის მწყერს.
შავი საფანტი ირევა...
თეთრი სეტერი ქრის...
მე მაინც უნდა ავფრინდე, —
ავფრინდები და...
ფრრი...

# იცი, როგორ უნდა მოიწყო შენი ოთახი?



გინდა, ბევრი მეგობარი გყავდეს? გინდა „ფრიადებზე" ისწავლო? წარმატებას მიაღწიო სპორტში? ამაში ფენ-შუი დაგეხმარება! ფენ-შუი საგნების სწორად განლაგების ძველი ჩინური ხელოვნებაა. მისი ისტორია რამდენიმე ათასწლეულს ითვლის. ფენ-შუის ამოცანაა წარმატების მოზიდვა. ამისათვის საჭიროა, მაგალითად, სახლში ნივთების ისე განლაგება, რომ დადებით ენერგიას ცი თავისუფლად გადაადგილება შეეძლოს. სწორედ მას მოაქვს წარმატება. ისარგებლე რამდენიმე რჩევით და საკუთარ ოთახზე გამოსცადე ამ ხელოვნების ძალა. დააკვირდი, რა მოჰყვება ამას. იქნებ ბედმა გაგიღიმოს!

1. მობილები (სხვადასხვა მოძრავი რამ-რუმები) ადგილს უნაცვლებენ დადებით ენერგიას, რომელსაც ჩინურად ცი ჰქვია.



2. კარის ორივე მხარეს მელოდიური ზანზალაკები ჩამოკიდე. მათი წკრიალი პოზიტიურად განგაწყობს, ბედნიერებასა და წარმატებას მოგიტანს.

3. გინდა მშობლებთან, დაძმებთან ურთიერთობა გაგიუმჯობესდეს? სამკუთხედად ჩამოკიდე ოჯახის წევრების ფოტოსურათები. რიცხვი „სამი" ფენ-შუიში დადებით ენერგიას ააქტიურებს.

4. დახატე ის, რაზეც ოცნებობ და ნახატი ლეიბის ქვეშ ამოდე. რა იცი, იქნებ ოცნებები აგისრულდეს?

5. სასწრაფოდ გჭირდება კარგი ნიშნები? გადადგი მაგიდა ან თუნდაც თაროები კარადიდან მარცხნივ.

6. დაბნეული ხარ? მაგიდაზე კვარცის კრისტალი დაიდე. გოგონებმა ის ხელმარცხნივ უნდა დაიდონ, ბიჭებმა კი – ხელმარჯვნივ.



7. კარის მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდე დაფა და ზედ შენი წარმატებების ამსახველი სიმბოლოები მოათავსე (სიგელები, [illegible] მედლები, დიპლომები), ეს უკვე მიღწეულს შეგახსენებს და უფრო მეტის მიღწევაშიც დაგეხმარება!

8. ალმოსავლური კალენდრით ძაღლის წელს ხარ დაბადებული? ლოგინზე პატარა პლუშის ძაღლი დაისვი. საწოლზე ყოველთვის გეყვდეს ცხოველი, რომლის წელსაც ხარ დაბადებული. მან ბედნიერება და წარმატება უნდა მოგიტანოს.

9. სამი ბალიში საწოლზე ძველ მეგობრებთან დროის მხიარულად გატარებაში ან ახალი მეგობრების შეძენაში დაგეხმარება.

10. თუ გინდა, რომ ახლობლებთან და მეგობრებთან უფრო ხშირად გქონდეს ურთიერთობა, ოთახში ყოველთვის იქონიე ყვავილი (ხელოვნურიც შეიძლება).

11. პატარა მაგიდაზე ღია მწვანე ან იისფერი ჯამი დაიდგი და შიგ მონეტა ჩააგდე. ასე თანდათან დაგიგროვდება შენთვის სასურველი რამის საყიდელი ფული.

12. უკეთესად რომ იძინო, საწოლი სწორად უნდა დადგა – გრძელი მხარით კედელთან მიჯრით, ამასთან ისე, რომ კარი კარგად ჩანდეს.

## იცხოვრე სწორად არჩეულ ფერებში!

ფენ-შუის თანახმად, ჩვენს ცხოვრებაზე ფერიც ზემოქმედებს. დაფიქრდი, რა არის შენთვის მნიშვნელოვანი და ამის მიხედვით დაამატე შენი ოთახის მოწყობილობაში საჭირო ფერები.

**წითელი** წარმატება, სახელი.

**ნარინჯისფერი** ღონე, ძალაუფლება.

**ყვითელი** ოქროსფერი ბედნიერება.

**მწვანე** სიმალლე.

**ლურჯი** სიმშვიდე.

**იისფერი** სიმდიდრე.

**ვარდისფერი** სიყვარული.

**შავი** სიბრძნე.

**ცავისფერი** ხასიათის სიმტკიცე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკოლის უპირველესი ფუნქცია განათლების მიცემა

***გვესაუბრება რუსთავის №10 სკოლის დირექტორი, ქალბატონი ირინე აბუთიძე.***



**—საქართველოს მასშტაბით სკოლებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებასთან დაკავშირებით სასწავლო წელი სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა დროს დაიწყო, 2 ოქტომბერს კი ზარი უკლებლივ ყველგან დაირეკა. ამ დღეს დაიწყო სწავლა თქვენს სკოლაშიც, ოღონდ გაურემონტებელ შენობაში, რატომ მოხდა ასე?**

—სარემონტო სამუშაოების დაწყებას წინ უძღოდა შენობა-ნაგებობის დათვალიერება. სეისმოლოგმა ზურაბ კუჭუხიძემ „შპს სეისმომედეგი პროექტირების მშენებლობისა და ტექნიკურ-ეკონომიკური კრიტერიუმებით შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების შეფასების ცენტრიდან“ აღმოაჩინა ბზარი და შეადგინა დეფექტური აქტი. საეჭვო მდგომარეობა საფუძვლიან შესწავლას ითხოვდა. ქალაქის არქიტექტურიდან მოწვეული სპეციალისტებით დაკომპლექტებული დამატებითი ჯგუფი მოავლინეს და ფუნდამენტურმა შემოწმებამ ეჭვი გააქარწყლა. ამასობაში დროც გავიდა და ამ წლის გეგმიურ რემონტში მოხვედრა ველარ მოხერხდა. სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული რემონტი ჩვენს სკოლას მომავალ წელს ჩაუტარდება, თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ოთხი პარამეტრიდან „ბიპის“ დახმარების წყალობით ორი უკეთეს მდგომარეობაშია, სახურავი და წყალგაყვანილობა, წელს შესაძლოა, გათბობის პრობლემაც მოგვიგვარონ.

**—სასკოლო რეფორმას როგორ შეაფასებდით?**

—პირადად მე, ბუნებით რეფორმატორი ვარ და შესაბამისად, რეფორმის მომხრეც. რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია სამეურვეო საბჭო — არჩევითი ორგანო, რომელიც დემოკრატიისა დ ლიბერალიზმის პრინციპებს ეფუძნება. აქ ჩართულია თითქმის ყველა რგოლი, ეს ის მექანიზმია, რომლის ქმედუნარიანობაზე დამოკიდებულია სკოლის წარმატება. სკოლა საზოგადოების ნაწილია და ამიტომ მის განვითარებაში ყველამ უნდა შეიტანოს წვლილი — სკოლის ადმინისტრაციით დაწყებული, ტექპერსონალით დამთავრებული. საბჭოს არსებობა განაპირობებს თითოეულ რგოლთან მჭიდრო კავშირს. მოსწავლეები, რომლებიც ჩართულნი არიან საბჭოს მუშაობაში, მოქალაქეობრივ პოზიციებზე იზრდებიან და ადრეული ასაკიდან სრულფასოვან პიროვნებებად ყალიბდებიან, ამას ჩვენი შინაგანაწესიც უწყობს ხელს. შინაგანაწესით ეთიკური ნორმების დაცვა ყველასათვის სავალდებულოა. მიუხედავად იმისა, რომ ეთიკა, როგორც საგანი სასწავლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული, თითოეული პედაგოგი, განსაკუთრებით კლასის ხელმძღვანელები, ვალდებულნი არიან ამ კუთხით გარკვეული მუშაობა ჩაატარონ. დისციპლინა ჩვენი სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

**—თქვენი აზრით, რით გამოირჩევა №10 სკოლა რუსთავის დანარჩენი სკოლებისაგან, რას სთავაზობთ თქვენთან სასწავლებლად მოსულ ბავშვებს?**

—სკოლის უპირველესი ფუნქცია, მაინც განათლების მიცემაა, ამისთვის კი ჩვენთან ყველა პირობაა შექმნილი. პედაგოგიური კოლექტივი ნიჭიერი და შემოქმედი კადრებით არის დაკომპლექტებული. ცოდნა და დისციპლინა — ეს ორი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. დისციპლინირებული მოსწავლე, ვისაც ცოდნის მიღება სწყურია, ბევრს მიაღწევს. სკოლაში ფუნქციონირებს ფეხბურთის წრე, კალათბურთის აკადემია, ქართული და სამეჯლისო ცეკვების სტუდია, პროექტშია ავტოსკოლის გახსნა. შესანიშნავი ტექნიკური ბაზა გვაქვს შრომითი სწავლებისათვის. მაღალ დონეზეა ფრანგული ენის სწავლება, გვაქვს კონტაქტები საფრანგეთის საელჩოსთან. ქვემო ქართლის განათლების სამხარეო სამსახურთან ერთად მუშავდება წინადადება იმის თაობაზე, რომ ჩვენი სკოლა გახდეს თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაზო სკოლა. ადგილობრივი ხელმძღვანელობის დახმარებით მალე ხელოვნურსაფარიანი სტადიონი გვექნება. მუშავდება პროექტი „გიორგი ნიკოლაძე“, რომელიც ეზოს კეთილმოწყობას ითვალისწინებს. ჩვენთან ასევე ხორციელდება სასურსათო პროგრამა I-VI კლასებისთვის. ვფიქრობთ, ახლო მომავალში ჩვენი ძალებით ყველა კლასის მოსწავლეები ჩაერთვებიან ამ პროგრამაში. პილოტირებული სწავლება გვაქვს I-VII-X კლასებში. ცოდნა ფასდება ქულებით. II [illegible] „ირმის ნახტომის“ პროექტიც [illegible] ელდება და კომპიუტერიზაც[illegible] [illegible]ნენ. თუმცა, არც წიგნის ფასი გვავიწყდება და ვცდილობთ, განვაახლოთ და შევავსოთ სასკოლო ბიბლიოთეკის ფონდი, რომელიც საბიბლიოთეკო ფონდიდან და პირადი ბიბლიოთეკებიდან შემოწირულობის სახით მიღებული წიგნები გვეხმარება. ვაპირებთ განვახორციელოთ პროექტი, რაც გამომცემლობასთან ხელშეკრულების დადებას ითვალისწინებს, რის შედეგადაც სასკოლო ბიბლიოთეკა გარდა სასწავლო წიგნებისა, სხვადასხვა ჟანრის საინტერესო ლიტერატურითაც გამდიდრდება, რაც ხელს შეუწყობს ბავშვებში წიგნისადმი ინტერესის გაზრდას. არ შეიძლება მოსწავლე წიგნს დავაშოროთ — ამ საკითხს მთელი სერიოზულობით ვეკიდებით.

ვამაყობთ, რომ ჩვენმა კურსდამთავრებულმა მოსწავლეებმა ეროვნულ გამოცდებზე დიდ წარმატებას მიაღწიეს. ექვსმა აბიტურიენტმა 100%-იანი გრანტი მოიპოვა, ნაწილობრივი დაფინანსებითაც ბევრი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში.

სკოლას ყველა ბერკეტი გააჩნია იმისათვის, რომ მოსწავლემ მიიღოს კარგი განათლება და საზოგადოების სრულყოფილ წევრად ჩამოყალიბდეს — აი, ამიტომ უნდა მოიყვანონ მშობლებმა თავისი შვილები ჩვენს სკოლაში.

**—როგორ ხდება თქვენთან პედაგოგების შერჩევა?**

—სკოლის შიგაგანაწესის გადაწყვეტილებით, ვაკანსიის დაკავება ხდება კონკურსის წესით, გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე. მაგალითად, წელს ასე შევარჩიეთ ინგლისური ენის პედაგოგის ვაკანსიაზე მაკა ძინძიბაძე.

**—ვინ არჩევს კადრებს?**

—ამისთვის შევქმენით კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიყვანეთ: სამეურვეო საბჭოს ორი წარმომადგენელი პედაგოგები ა. მსხილაძე და მ. მესხიშვილი, რუსთავის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის ფსიქოლოგი მ. ომარაშვილი, რესურსცენტრის ხელმძღვანელი თ. დეკანოსიძე, კომისიის წევრი გახლავართ მეც.

ასე რომ ჩვენს სკოლაში საქმიანი ვითარებაა და ბევრი კეთდება მოსწავლეთა განათლებისა და აღზრდისათვის. ჩვენი სკოლის კედლებში აღზრდილები ცხოვრების ასპარეზზე ყოველმხრივ მომზადებულები უნდა გავიდნენ და ჩვენი კოლექტივის თითოეული წევრი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა მათი სახით ქვეყანას, საზოგადოებას განათლებული, დამოუკიდებლად მოაზროვნე, სამშობლოსათვის გულანთებული, შრომისმოყვარე ადამიანები შეემატოს.

**მანანა ჯანგირაშვილი**



## ერთი ფოთლის თავგადასავალი

ერთი გოგონას ეზოში ერთი ხე იდგა. იმ ხეზე ფოთლების ერთი ოჯახი ცხოვრობდა. მათ ძალიან უნდოდათ, ჰყოლოდათ პატარა შვილი. დადგა დღე და ფოთლებს სურვილი აუსრულდათ, დაებადათ პატარა შვილი. მოკლედ, დადგა შემოდგომა. აცივდა და ქარი ამოვარდა. ფოთლები ხეებს მაგრად ეჭიდებოდნენ, მაგრამ პატარა და სუსტი ფოთლები ქარმა ჩამოყარა. ჩამოვარდა ის ფოთოლიც, რომელიც მშობლების დიდი ხნის ნატვრა იყო. საწყალი ფოთოლი, ძალა აღარ ჰქონდა. აწვიმდა. ბავშვები ავიდნენ სახლში, მაგრამ ერთი გოგონა დარჩა. მან შეამჩნია, რომ ერთი სათამაშო დარჩენოდა ეზოში. გაიქცა, სათამაშო აიღო და მის გვერდით დაინახა ფოთოლი. გოგონამ აიყვანა პატარა ფოთოლი ხელში, სახლში შეიყვანა, გაათბო და პატარა აკვანში დააწვინა. ფოთოლმა დაიძინა.

მე რაც დავინახე, ის მოგიყევით, სიზმარს კი, ის თავად გიამბობთ.

## კლდე

დიდ გორაკზე კლდე იდგა. ვინც მივიდოდა იმ ადგილას, სადაც კლდე იდგა, ყველა გვერდს უქცევდა. კლდე მიხვდა ამას და დაიწყო ტირილი. იმდენი იტირა, იმდენი, რომ ბოლოს დაინგრა. ახლა იმ ადგილას მხოლოდ ქვები ყრია. ბიჭები გამოივლიან და ვისაც რომელი ქვა მოეწონება, იმას აიღებენ. მათ ხომ არ იციან — ეს ქვები სევდიანმა კლდემ აჩუქა.

**ნინუცა კობახიძე, 9 წლის, „ახალი სკოლა“**



ნინო ქუმსიაშვილი, ქ. რუსთავი, 5 წლის



ნიკოლოზ ბარათაშვილი,
სკოლა „სადუნი“

# ვაცხადებთ ნორჩი დიზაინერ-მოდელიერების კონკურსს

ტანკენარი მემოდელე ქალიშვილები და მოხდენილი ვაჟები ლაღი ნაბიჯით გამოდიან პოდიუმზე, ისმის მუსიკა, იწყება დეფილე და მაყურებელი სულგანაბული ადევნებს თვალს ზღაპრულ წარმოდგენას. დღესასწაულის დასასრულს კი ყველა მოდელი ერთად გამოდის და თან გამოჰყავს ოდნავ დარცხვენილი ადამიანი, რომელიც მორიდებული ღიმილით უკრავს თავს აღტაცებულ პუბლიკას. სწორედ ამ ადამიანის მოგონილი და შექმნილია მთელი ეს სილამაზე — კაბები, კოსტიუმები, ქუდები, ფეხსაცმელები, აქსესუარები. დიახ, სწორედ ის არის მოდის ხელოვნების მთავარი მოქმედი პირი და შემოქმედი, ის კარნახობს საზოგადოებას ჩაცმა-დახურვის სტილს, ტანსაცმლის თუ ფეხსაცმლის ფერებს, მასალას, ამკვიდრებს ამ ხელოვნების მიმართულებებს. და ეს ადამიანია დიზინერ-მოდელიერი. სწორედ მოდელიერობაზე მეოცნებე გოგო-ბიჭებს ვიწვევთ ჩვენს კონკურსში მონაწილეობისათვის.



გამოგვიგზავნეთ თქვენი ნამუშევრები, წარმოსახვის კარნახით შექმნილი კაბების, შარვლების, პიჯაკების, ქუდების, პალტოების, ქურთუკების, მაისურების, ფეხსაცმლის, აქსესუარების (ჩანთების, ქამრების, მძივების, სამაჯურების და სხვა) ესკიზები. კომპეტენტური ჟიური სამოდელო საქმის სპეციალისტების, მხატვარ-დიზაინერების შემადგენლობით პირუთვნელად შეაფასებს მათ და აზრთა შეჯერებით დაადგენს კონკურსში გამარჯვებულებს. კონკურსის შედეგები გაზაფხულზე, აპრილის თვეში დაჯამდება, საუკეთესო ნამუშევრების ავტორებს ელით ჯილდოები და პრიზები, ავტორს დაუბრუნდება ყველა მისი ნამუშევარი. გამარჯვებული მოდელები დაიბეჭდება ჟურნალ „ნაკადულში“, მათ შემქმნელებს ჩვენი ჟურნალის ათასობით მკითხველი გაიცნობს, ისე რომ, თამამად! ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს კონკურსი აღმოჩნდეს თქვენი პირველი ნაბიჯი დიდი წარმატებისკენ.

ველით თქვენს ესკიზებს. ნამუშევრების გამოგზავნისას ზუსტად მიუთითეთ თქვენი გვარი და სახელი, სკოლა, კლასი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

**„ნაკადულის“ რედაქციის მისამართი და ტელეფონის ნომრები მოცემულია ჟურნალის პირველ გვერდზე.**

# რა და რა ჰქვია რას და რას






## რატომ ვამბობთ ასე?

**გულბაათი კაცი** — ადამიანი, რომელსაც ბევრი ღვინის სმა ემარჯვება. კახეთში ყოფილა ვინმე თავადი გულბაათ ჭავჭავაძე, რომელსაც იმით გაუთქვამს სახელი, რომ ბევრ ღვინოს სვამდა და კარგადაც სვამდა. ასე დამკვიდრდა ქართულში ღვინის მსმელი კაცის სინონიმად გამოთქმა „გულბაათი“.

**გულზე ხელების დაკრეფა** — გულხელდაკრეფილობა სიმბოლოა მიცვალებულისა, რომელიც გულხელდაკრეფილი ასვენია კუბოში. გადატანითი მნიშვნელობით კი ეს გამოთქმა უსაქმურობას, უქმად ყოფნას აღნიშნავს.

**ერთ ბერაში გავლა, გამოყვანა** — გათანასწორება. ბერა მწყემსების მიერ გაკეთებული ჩიხია, რომელიც მოსაწველმა ცხვრებმა უნდა გაიარონ, ბერაში ცხვრების დაჭერა ადვილია, მწყემსებს მათი დევნა აღარ უხდებათ და უპრობლემოდ სწველიან.

**ეს აქლემი ხვალ თქვენ წინაც დაიჩოქებს** — ეს უბედურება თქვენც შეგემთხვევათ. როცა ტვირთი უნდა აჰკიდონ ან ჩამოხსნან, აქლემს ანიშნებენ და ისიც იჩოქებს. აქედან მოდის ეს გამოთქმაც, რომელიც მაშინ იხმარება, როდესაც მძიმე საქმეა გასაკეთებელი.

**ვირის აგორება** — გაჩანაგება, გაოხრება, გატიალება. ვირს ძალიან უყვარს მიწაზე გორაობა, განსაკუთრებით მუშაობის შემდეგ. ამასთან ის ისე ენერგიულად გორაობს ხოლმე, რომ ირგვლივ გაუქელავი არაფერი რჩება.

**თვალმახარა** — შესახედავად კარგი, მოსაწონი, თვალისთვის სასიამოვნო

**თოფრა** — მცირე ტომარა.

**თოხლი** — ცხვარი ექვსი თვის ასაკიდან ერთ წლამდე (პირველი გაპარსვიდან მეორე გაპარსვამდე).

**კაპარჭი** — ისრების ჩასაწყობი ბუდე, კარქაში

**კარჩხი** — ღლღუებად ქცეული ჭირხლი ხეებზე

**კენარი** — მოხდენილი

**კვაჭი** — გაქნილი, მოხერხებული ადამიანი, რომელსაც ემარჯვება თავის სასარგებლოდ საქმის მოგვარება

**კუნკულა** — ბერების მაღალი ქუდი უკან ჩამოშვებული საბურავით

**ლანქერი** — ღვარად წამოსული დამდნარი თოვლი

**ლაში** — ზოგიერთი ცხოველის (ძაღლის, მგლის, ცხენის და სხვ) ტუჩი

**ლოხი** — ზანტი, ზარმაცი

# სკოლის ფორმა ქალიანაც კარგია!

*ამ სასწავლო წლიდან საქართველოს სკოლებში კვლავ შემოვიდა ფორმები, ალბათ ბევრ თქვენგანს ეს ამბავი ახარებს, ზოგს კი სკოლაში ნაირ-ნაირი ტანსაცმლით სიარული უფრო მოსწონს. ვნახოთ, როგორი გამოდგება სასკოლო ფორმები, როგორ მოირგებთ და შეიშნოვებთ, იქნებ სამომავლოდ მათ შემქმნელებს თქვენი საკუთარი შენიშვნები და სურვილებიც მიაწოდოთ და საბოლოოდ ჩვენშიც ისეთი ტანსაცმელი შეიკეროს მოსწავლეებისთვის, რომელსაც ყველა თქვენგანი, უცხოელი თანატოლების მსგავსად, სიამოვნებით ჩაიცვამს ხოლმე და მასში გამოწყობილი თავსაც მოიწონებს.*

## იაპონია



სხვა ქვეყნების ბევრი თანატოლისგან განსხვავებით, იაპონელ მოსწავლე გოგონებს ძალიან მოსწონთ და უყვართ თავიანთი სკოლის ფორმა, რომელიც შედგება მეზღვაურის ბლუზებისგან, პლისირებული ქვედატანებისაგან და თეთრი გოლფებისაგან. მათ მიაჩნიათ, რომ ეს ანსამბლი ძალიან მოდურია და გაკვეთილების შემდეგაც კი ვერ ელევიან მას.

## ირანი



ადრე ირანელ მოსწავლე გოგონებს მხოლოდ მუქი ფერის ტანსაცმელი უნდა სცმოდათ, მათ სულ ახლახან მისცეს ვარდისფერი და ღია ცისფერი კაბების ჩაცმის უფლება. ცისფერ კაბებთან ერთად სკოლის ფორმის განუყოფელი ნაწილია ჰიჯაბი – თავსაფარი, რომელიც მათ სახლის გარეთ უნდა ატარონ, რათა მუსლიმანი გოგონას თმა მისი ოჯახის წევრების გარდა სხვამ არავინ დაინახოს.

## განა



ამ აფრიკული ქვეყნის ბევრ სკოლაში მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგაც კი ეკრძალებათ ფორმის გარდა სხვა ტანსაცმლით სიარული. განელი მოსწავლეების ფორმა ასე გამოიყურება: თხელი ყავისფერი შარვლები და ნარინჯისფერი პერანგები ბიჭებისათვის, ნარინჯისფერ-ყავისფერი კაბები გოგონებისთვის. სკოლის წესების თანახმად, ყველა მოსწავლეს – გოგონებსაც და ბიჭებსაც ერთნახევარ სანტიმეტრზე გრძელი თმა უნდა ჰქონდეს.

## ინდოეთი



ინდოეთის დედაქალაქის ქუჩებში ხშირად შეხვდებით ასეთ უჩვეულო ჩაჩებიან ბიჭებს. ისინი ინდოეთში გავრცელებული რელიგიის – სიქჰიზმის მიმდევრები არიან, სიქჰებს სარწმუნოება თმის გამოჩენას უკრძალავს. ამიტომაც ისინი თმას 5 მეტრის სიგრძისა და 1 მეტრის სიგანის მსუბუქი ქსოვილის გარკვეული სახით თავზე დახვეული დოლბანდის ქვეშ მალავენ. ახალგაზრდებმა და მოზარდებმა კი დოლბანდის გამარტივებული სახეობა, ე.წ. „პატკა“ აირჩიეს. ასე რომ; ეს თავსაბური მოსწავლე სიქჰების ფორმის შემადგენელი ნაწილი გახდა. და კიდევ ერთი – იცოდეთ, რომ თქვენს თანატოლ ინდოელ სიქჰს თან აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფოლადის სამი ნივთი: ხანჯალი, სავარცხელი და სამაჯური.

## ჩინეთი

ალბათ არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არიან მოსწავლეები ისე დატვირთულები, როგორც ჩინეთში. ისინი დღეში 10-12 საათს მეცადინეობენ და იძულებულები არიან დილის 6 საათზე ადგნენ, დასაძინებლად კი ღამის 11 საათზე დაწვნენ. როცა ამდენი გაკვეთილები გაქვს, ცხადია, სასკოლო ჩანთაც გვარიანად მძიმე გექნება. ყველა ამ გარემოებით შეშფოთებული ჩინელი ექიმები აცხადებენ, რომ ჩინელი მოზარდების უმრავლესობას ძილი აკლია. გარდა ამისა, ძალიან ბევრ მათგანს სკოლის დამთავრებისთანავე სჭირდება სათვალე. ერთადერთი, რაც მათ ყოფას ასე თუ ისე უმსუბუქებს, საკმაოდ მოსახერხებელი სკოლის ფორმაა, რომელსაც სპორტული კოსტიუმი უფრო ეთქმის. ერთი ეს არის, რომ მო-



სწავლეებს წითელი ყელსახვევიც უკეთიათ (როგორც ოდესღაც საბჭოთა პიონერებს). ყელსახვევი ჩინელი მოსწავლის კისერზე იმის მაჩვენებელია, რომ ეს გოგონა თუ ბიჭი მოწინავე ახალგაზრდულ ორგანიზაციას ეკუთვნის. ყველაზე ბეჯით მოსწავლეებს პირველებს ეძლევათ ყელსახვევის გაკეთების უფლება.

# მიფრინავენ წეროები, მიფრინავენ ჭორს...



ბუნებამ ფერი იცვალა, უკვე შემოდგომის წითელ-ყვითელ ფერებს იმშვენებს და თუმცა ჩვენში კვლავაც მზიანი დარებია, მალე ზამთარიც მოგვადგება კარს, ამას ფრინველებიც და ცხოველებიც გრძნობენ და ახლავე იჭერენ თადარიგს. ფრთოსნები შორი გადაფრენებისთვის ემზადებიან. საშემოდგომო გადაფრენა ნელა მიმდინარეობს და ხშირად ერთ და ორ თვესაც ჭიანურდება, განსხვავებით საგაზაფხულო ჩამოფრენისგან, რომელსაც ფრინველები სულ რამდენიმე დღეს ანდომებენ. პირველ რიგში ეს იმით აიხსნება, რომ გაზაფხულზე აქეთ მხოლოდ ზრდასრული ფრინველები მოფრინავენ, იქით კი მათთან ერთად ბევრი ნორჩი, სულ რაღაც ორი-სამი თვის წინ დაფრთიანებულიც მიიკვლევს გზას იმ ქვეყნებისკენ, სადაც ყველამ ერთად უნდა გამოიზამთროს. ახალგაზრდობას უფრო თანამოძმეთა გაკვეთილები სჭირდება და სწავლება იმ დღიდან იწყება, როცა ყველანი ერთად გუნდ-გუნდად იკრიბებიან და მაშინაც გრძელდება, როდესაც გუნდები საცდელად მოკლე გადაფრენებს აწყობენ. მერე კი, როცა გუნდი საბოლოოდ ჩამოყალიბდება, ჩიტები გარკვეულ რიგზე ეწყობიან და გადაფრენაც იწყება. თავიდანვე გეზს მუდმივი გადასაფრენი ტრასისკენ იღებენ, მერე ისვენებენ, კარგად ნაყრდებიან და გზას განაგრძობენ, ახლა უკვე მცირე მანძილების გავლის შემდეგ ისვენებენ და ასე აღწევენ მთავარ ტრასას, აქ კი უკვე თითოეული გუნდი საბოლოოდ ეწყობა და ისე მიიწევს წინ. გუნდის მოყვანილობა, წყობა თანაზომიერად ფრენაში ეხმარება ფრინველებს: ძლიერები სხვებს არ უსწრებენ, სუსტები კი გუნდს არ ჩამორჩებიან. ფრენის ტაქტსა და ტემპს ბელადი საშუალო შესაძლებლობების თანამოძმის უნარის გათვალისწინებით ადგენს, რაც სუსტ ფრინველებსაც აძლევს საშუალებას, თუმცა კი ძალების დაძაბვით, მაგრამ მაინც მისდიონ გუნდს. ყველაზე ლამაზი და მკაცრი წყობა წეროებს აქვთ — სოლისებური, მწკრივად დაწყობილები მიფრინავენ ყანჩები და ბატები, იხვები ერთ ხაზზე ეწყობიან და ერთმანეთის უკან მიფრინავენ. შოშიები, შაშვები და სხვა პატარა ჩიტები ყოველგვარი წყობის გარეშე, უბრალოდ შექუჩებულ გუნდად მიფრინავენ. ეულად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ლახავენ გზას გამოზამთრების ადგილებამდე დიდი მტაცებელი ფრინველები — არწივები, ორბები. გუნდები დაახლოებით 50-60 კილომეტრის მანძილზე მიჰყვებიან ერთმანეთს. სიმაღლე და თან ნებისმიერი ფრინველისთვის დამახასიათებელი მახვილი მზერა საშუალებას აძლევს ფრთოსანს წინ მიმავალი თანამგზავრები ყოველთვის მხედველობის არეში ჰყავდეს. ხშირად ასეთი ცოცხალი ჯაჭვი ასობით კილომეტრზეა ხოლმე გაბმული.



საზოგადოდ, ჩვენი ფრთოსანი მეგობრები ზომიერი სიჩქარით მიფრინავენ: შოშიები საათში 70 კილომეტრს გადიან, იხვები — 90-ს, ბატები კი მხოლოდ 30-40-ს. ან კი რა ეჩქარებათ! სულ ერთია გადასახლებისთვის განკუთვნილ დიდ დროში იმ ათასობით კილომეტრს ისინი მაინც გადალახავენ. რაც შეეხება ფრენის სიმაღლეს, ფრინველთა უმრავლესობა 400 მეტრზე მაღლა არ ადის, პატარ-პატარა მოგზაურები კი საერთოდ 100 მეტრზე დაბლა ფრინავენ. მთების თავზე ფრენისას სიმაღლე მატულობს, ზღვის თავზე კი პირიქით, კლებულობს, ისე რომ ფრინველები ლამის ფრთებით ეხებიან წყლის ზედაპირს. მეცნიერები, სპეციალისტები დღესაც კამათობენ ფრთოსანთა სანავიგაციო უნარ-ჩვევებზე. კარგა ხანია უარყოფილია ადრე არსებული მათ მიერ დედამიწის მაგნიტური ველის განსაზღვრის უნარის ჰიპოთეზა. არც ფრინველების მიერ ქარის მუდმივი მიმართულებების გამოყენების ვერსია აღმოჩნდა სარწმუნო. უფრო დამაჯერებელია მოსაზრება, რომლის თანახმად, გადაფრენებისას გარდა მიწისზედა ორიენტაციისა, ჩიტები ასტრონავიგაციითაც სარგებლობენ, ანუ საჭირო მიმართულებას მზისა და თანავარსკვლავედების მიხედვით ადგენენ, ვარსკვლავურ რუკას კი ისინი დღისითაც ხედავენ. მხედველობითი მეხსიერება და გრძნობა თითოეულ მათგანს მემკვიდრეობით დჰყვება თან. მაგალითად, ახალგაზრდა შოშიები მარტოებიც მშვენივრად იგნებენ გზას გამოზამთრების ადგილებამდე, პატარა გუგულები კი საერთოდ სულ მარტონი მოგზაურობენ.

შემოდგომაზე უამრავი ფრინველი მიფრინავს თბილ ქვეყნებში გამოსაზამთრებლად, რათა ადრიან გაზაფხულზე ისევ დაბრუნდეს სამშობლოში, თუმცა ჩვენ იშვიათად თუ მოვკრავთ ხოლმე მათ თვალს იმიტომ, რომ გადამფრენი ჩიტები ძირითადად ღამე ფრენენ.

# შენზე ფიქრით რომ ალამებს

## ვისი ამაგიც გვზრდის და გვახარებს

ქალბატონი ნაზი ღიმილით იხსენებს, რატომ გადაწყვიტა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ღვინის ტექნოლოგის ნაკლებად ქალურ პროფესიას დაუფლებოდა. ერთი მათი თანამოგვარე ტექნოლოგის ყოველმხრივ უზრუნველყოფილ ცხოვრებას შენატროდა და ამიტომაც 1966 წელს ლენტეხელმა ქალიშვილმა მისაღები გამოცდები საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა და გულმოდგინედ იმზადებდა მომავალი საქმიანობის თეორიულ საფუძველს. ტოლს არავის უდებდა, ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი იყო და წითელი დიპლომიც მიიღო. იმავე წელს (1971 წ.) ორბელის ღვინის ქარხანაში დაიწყო ლაბორანტად მუშაობა, მაგრამ სულ მალე მიხვდა, რომ იმ დროში ნანატრ უზრუნველყოფილ ცხოვრებას ღვინის ტექნოლოგი პატიოსანი შრომით ვერ შეიქმნიდა, თვითონ კი მხოლოდ ასე შრომა შეეძლო და ამიტომაც შეეშვა ამ საქმიანობას. სპეციალობის არჩევაში დაშვებული შეცდომა სრულად რომ გაისიგრძეგანა, თავისი ჭეშმარიტი მოწოდებაც ძალუმად იგრძნო — მას ხომ ყოველთვის უყვარდა ბავშვები და მათთან საერთო ენასაც ადვილად პოულობდა — და ახლა უკვე მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საღამოს განყოფილების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. საღამოს განყოფილება შეგნებულად აირჩია, რათა მუშაობის საშუალება მისცემოდა და პედაგოგის დიპლომით აღჭურვილს კლასში შესვლისას პატარებთან ურთიერთობის პრაქტიკული გამოცდილებაც ჰქონოდა.

სამი წელი თბილისის 153-ე საშუალო სკოლაში იმუშავა პიონერხელმძღვანელად, მერე კი, ინსტიტუტი რომ დაამთავრა (1977წ.), ამავე სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. რა დაავიწყებს იმ გრძნობას, მაშინ რომ დაეუფლა, როცა პირველად შეაღო მისთვის პირველი პირველი კლასის კარი და ოცდაათამდე წყვილი თვალის მზერა იგრძნო. ძლივს დაიოკა მღელვარება, მერე ერთი გაუღიმა თავის პირველ მოსწავლეებს და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. 1983 წელს ნაზი ონიანი თბილისის მე-4 საშუალო სკოლაში გადავიდა და აგერ უკვე 23 წელია აქ მუშაობს.

პირველკლასელთა 8 თაობა გაზარდა ნაზი ონიანმა და უამრავი თვალმახარა გოგო-ბიჭი დააფრთიანა ამ ოცდაათი წლის განმავლობაში. უამრავს ასწავლა ანბანა, უამრავს ჩაუნერგა სამშობლოს სიყვარული, ჭეშმარიტი ადამიანური ღირებულებების პატივისცემა. ვინ მოთვლის, რამდენ ძლიერ ნერგად იხარა ნაზი მასწავლებლის მიერ პატარების გულში დათესილმა სიყვარულმა, რამდენმა გაიყოლა ცხოვრებაში სავალ გრძელ გზაზე მის მიერ საგზლად ბოძებული ცოდნა, სიკეთე, ზნეობრიობა.



მასწავლებელი სრულად უნდა იხარჯებოდეს, ასე სწამს ქალბატონ ნაზის, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მარტო გამოცდილება და ერთხელ შეძენილი ცოდნა არ კმარა იმისათვის, რომ ღირსეულად ატარებდე მასწავლებლის სახელს, ამიტომაც ნიადაგ ზრუნავს საკუთარ სრულყოფაზე, სიახლეების ათვისებაზე, ცოდნის გამდიდრება-გაღრმავებაზე და განახლებაზე.

როგორც პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებელმა ნაზი ონიანმა კარგად იცის, რომ მასწავლებელი ვალდებულია გაითვალისწინოს დროის მოთხოვნები და მათ შესაბამისად გარდაქმნას მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უწინარესად საკუთარ მოსწავლეებს ავნებს, მოუმზადებლებს გაუშვებს სწავლების მომდევნო საფეხურზე შესაბიჯებლად და ამით უკან დასწევს მათ. ამიტომაც არის, რომ თამამად უწყობს ფეხს რეფორმით ნაკარნახევ სიახლეებს და გონივრულად ნერგავს მათ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. სწორედ ამის შედეგია, რომ ნაზი ონიანი დაწყებითი კლასების ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებლად არის აღიარებული. ამის დასტური კი გახლავთ ის ჯილდოები, რომლებიც მას დღემდე მიუღია: „სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშანი“ (სახალხო განათლების დარგში თავდადებული და ნაყოფიერი მუშაობისთვის, 1988 წ.), ი. გოგებაშვილის საიუბილეო მედალი და საპატიო სიგელი (განათლების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისთვის, 2000 წ.), განათლების სამინისტროს მადლობა ბრძანებით (აქტიური პედაგოგიური შემოქმედებითი მუშაობისთვის, 1997 წ.).

გარდა პრაქტიკული მოღვაწეობისა, ნაზი ონიანი თეორიულ საქმიანობასაც ეწევა. იგი გახლავთ პირველი კლასის მათემატიკის მეთოდური სახელმძღვანელოს ავტორი, მესამე კლასის მათემატიკის (რუხაძე) მეთოდური სახელმძღვანელოს (I-II ნაწილი) თანაავტორი, მეოთხე კლასის მათემატიკის (რუხაძე) მეთოდური სახელმძღვანელოს ავტორი, მეორე კლასის ხელოვნების (მაჭარაშვილი) სახელმძღვანელოს რეცენზენტი. თითოეულ პატარაში ნაზი მასწავლებელი საქართველოს მომავლის მაშენებელს, ახალი საზოგადოების წევრს ხედავს და ამიტომაც უყრის ასეთი რუდუნებით საფუძველს ამ გოგო-ბიჭების ზნესრულ, განათლებულ, მშრომელ ადამიანებად ჩამოყალიბებას. პატარები კი უტყუარად გრძნობენ მის მზრუნველობას, გულის სიღრმიდან წამოსულ სიყვარულსა და სითბოს ასეთივე სიყვარულთა და სითბოთი პასუხობენ მას, ადამიანს, რომელიც თითოეული მათგანის ცხოვრებაში სამუდამოდ დაიკავებს ადგილს პირველი მასწავლებლის სახელით.

# ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით ერთი პატარა სახელმწიფოთა

*„ნაკადულის“ ამ ახალ განყოფილებაში გიამბობთ თქვენთვის ნაკლებად ცნობილ ქვეყნებზე, რომელთა უმრავლესობა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ბოლო დრომდე მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე არც კი არსებობდა.*

## ნაურუ











რესპუბლიკა ნაურუ მდებარეობს ოკეანეთის ამავე სახელწოდების კუნძულზე. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1968 წელს, მანამდე კი გაეროს სამეურვეო ტერიტორიას წარმოადგენდა და ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთისა და ახალი ზელანდიის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. ნაურუს ფართობი სულ 21 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა კი დაახლოებით 13 ათასი ადამიანია, რომელთა ნახევარზე მეტს ნაურუელები შეადგენენ. მათ გარდა კუნძულზე ჩინელები, ევროპელები და ოკეანეთის სხვა კუნძულების მკვიდრნიც ცხოვრობენ. ნაურუს სახელმწიფო დროშა ასე გამოიყურება – მუქ იისფერ ფონს შუაზე კვეთს ყვითელი ზოლი, მარცხენა ქვედა კუთხეში თეთრი ფერის 12-ქიმიანი ვარსკვლავია, 12 ქიმი 12 ადგილობრივი ტომის სიმბოლოა. წაკვეთილი ლიმონის ფორმის გერბის ფარის მარცხენა ქვედა ნაწილში გამოსახულია ფრეგატის ფრინველი, მარჯვენაში – პომიდვრის ტოტი. ვალუტას ავსტრალიური დოლარი წარმოადგენს. ნაურუელთა დედაქალაქია იარენი, ოფიციალური ენებია ნაურუ და ინგლისური. მორწმუნენი ძირითადად პროტესტანტები არიან.

შეიძლება არც დაიჯეროთ, მაგრამ ამ ციცქნა სახელმწიფოს თავისი პრეზიდენტიც ჰყავს და პარლამენტიც, მოსამართლეებიც და პოლიციელებიც, კონსტიტუციაც აქვს და ერთადერთი თვითმფრინავის მფლობელი ავიაკომპანიაც. ნაურუს კიდევ ერთი საოცარი მახასიათებელი ის არის, რომ თითქმის ყველა აქაურ მცხოვრებს ჰყავს საკუთარი ავტომანქანა, და ეს მაშინ, როდესაც ამ კუნძულის გზების სიგრძე სულ რაღაც 30 კილომეტრს შეადგენს.

ნაურუს ეკონომიკის აღმავლობა XX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, მას შემდეგ რაც კუნძულზე ფოსფატების საბადოები აღმოაჩინეს. დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის კომპანიებმა ერთიანად შეუტიეს ამ საბადოებს და ისე ინტენსიურად მუშაობდნენ, რომ მალე აყვავებული ქვეყანა კირის პატარ-პატარა კოშკებითა და უშნო კარიერებით მოფენილ უდაბნოს დაამსგავსეს. 1970 წელს ამ კომპანიათა აქციები სახელმწიფოს ხელში გადავიდა, მაგრამ წამხდარ საქმეს ძნელადღა თუ ეშველება.

მოსახლეობა იძულებული გახდა მწვანე სანაპირო ზოლში გადასახლებულიყო, მას გარკვეული ფულადი კომპენსაცია კი გადაუხადეს, მაგრამ ფული მალე დაიხარჯა და ქვეყანამ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, 2003 წელს იმის გამო, რომ სატანამგზავრო კავშირის გადასახადი ვერ გადაიხადა, ნაურუ რამდენიმე თვით მთელი მსოფლიოსგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. სადღეისოდ ფოსფატების მარაგი კუნძულზე ამოწურულია და ქვეყნის მთავრობა ცდილობს რაიმე გამოსავალს მიაგნოს. გამორიცხული არ არის, რომ პირველად ისტორიაში მთელ სახელმწიფოს სხვაგან გადასახლება მოუხდეს.

## ბუტანი










ბუტანის ციცქნა სამეფო მდებარეობს სამხრეთ აზიაში, ინდოეთსა და ჩინეთს შორის, სამხრეთ ჰიმალაის კალთებზე. მის 47 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე 1,45 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. სახელმწიფოს სათავეში უდგას მეფე-დრუკ იული (რაც „მეფე-დრაკონს“ ნიშნავს). ბუტანელები ძალიან ერიდებიან ტურისტების მიღებას და წელიწადში მხოლოდ 5 ათას ადამიანს მასპინძლობენ (შედარებისთვის მოვიხმობთ თურქეთის მაგალითს, რომელმაც შარშან 21 მილიონი ტურისტი მიიღო). ბუტანელები ამ გზით ცდილობენ უცხოური ჩარევისგან საკუთარი ბუნებისა და კულტურის დაცვას. კანონის თანახმად, ტყეებს ქვეყნის ტერიტორიის არანაკლებ 60% უნდა ეკავოს, ამიტომაც ტყეებს დიდი გულმოდგინებით აშენებენ მთის კალთებზე. თითქმის ყველა ბუტანელი ვეგეტარიანელია. ცხოველების მოკვლა აქ აკრძალულია, ისევე როგორც თამბაქოს მოწევა.

სამეფოში ტელევიზია არ არსებობს, თუმცა ვიდეოფილმების საყურებლად ოჯახებში ტელევიზორები მაინც აქვთ.

ბუტანელები ძალზე რელიგიურები არიან (ბუდისტები). ისინი ძალიან უბრალოდ ცხოვრობენ მოჩუქურთმებულ ძელურ სახლებში. თითქმის ყველა ბუტანელი ხალათის მსგავს ეროვნულ ტანსაცმელს იცვამს, რომელსაც ადგილობრივ ენაზე კჰო ჰქვია.

ბუტანის ნარინჯისფერ-ყვითელ სახელმწიფო დროშაზე თეთრი ფერის დრაკონია გამოსახული. ნარინჯისფერი სულიერებას ნიშნავს, ყვითელი – მიწიერ ცხოვრებას. სიძლიერისა და სიდიადის სიმბოლოები დრაკონებია გამოსახული სახელმწიფოს გერბზეც. ბუტანის სახელმწიფო ენაა ბჰოტია, ანუ ძონგ-კე („ციხესიმაგრეთა ენა“), ბუტანელთა ეროვნული ვალუტაა ნგულტრუმი.



# [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნიკოლოზ იოსებიძე

## ლექსები

### რატომ გავჭაღარავდი

ჩემო კარგო დედიკო,
რად გაგიჩნდა ჭაღარა?!
მაგას რა კითხვა უნდა?
შენზე ზრუნვამ დამღალა.
გახსოვს ყივანახველა,
ყბაყურა და წითელა?
ღამეებს გითენებდი,
სიცხე გქონდა იმხელა.
მერე მუხლი იტკინე,
ფეხზე ვეღარ დგებოდი,
სიბრალულით ვიწვოდი,
ცრემლებად ვიღვრებოდი.
რამე რომ გაწუხებდა,
სევდას გულში ვმალავდი,
ჰოდა, დარდმა მაჯობა,
მიტომ გავჭაღარავდი.

### ფუმფულა დათუნია

შე ფუმფულა დათუნია,
მთელ დღეს დაბაჯბაჯებ ტყე-ტყე,
ზაფხულობით კენკრა სვლიპე,
შემოდგომით პანტა ბერტყე.
რას ინებებ? – მჟავე, ტკბილი,
შვინდი, ქოლო, მარწყვი, თაფლი,
რკო, ასკილი, მოცვი, თხილი,
აბა, ყველას როგორ დავთვლი?!
ჭამე, სანამ დაზამთრდება,
კანქვეშ ქონი ჩაიფინე,
როცა დიდი თოვლი მოვა,
თბილ ბუნაგში დაიძინე.

### გადაფრენა

თბილ მხარეს მიეჩქარებათ,
ჩვენს მერცხლებსა და ნამგალებს,
ვინთ მოთვლის, მკერდში რამდენი
ნამცეცა გული ფანცქალებს.
კარგა ხანია მშობლებმა
ბარტყები დააფრთიანეს,
ემზადებიან, სულ მალე
გაფრინდებიან მზიანეთს.
წავლენ და მოგვენატრება
კუდმაკრატელას ჭიკჭიკი,
რა სიხარულით ელიან,
ალბათ, ბავშვები ზღვის იქით.
შენ არ ინაღვლო, ამ დილით,
მითხრეს პაპამ და ბებიამ,
ბუდე აქა აქვთ, სად წავლენ?
აპრილში დაბრუნდებიან.



# ვინ? რა? როგორ? სად? როდის? რამდენი? რატომ?

### რომელ ცხოველს ჰყავს ყველაზე დიდი ნაშიერი და რომელს ყველაზე პატარა?

ყველაზე დიდ ცხოველს, ლურჯ ვეშაპს შვილებიც „მსხვილგაბარიტიანები" ჰყავს: ახალშობილი ვეშაპის წონაა 2 ტონა, სიგრძე — 7 მეტრი. პლანეტის ყველაზე პატარა ცხოველი, პაწაწკინტელა ბიგა, რომელსაც სავი დაარქვეს, ახლახან აღმოაჩინეს არაბეთის საემიროებში. ის 1,5-2 გრამს იწონის, სხეული 34-38 მილიმეტრის სიგრძის აქვს, კუდი კი 22-30 მილიმეტრის. თვითონ წარმოიდგინეთ, რამხელა ნაშიერი უნდა ჰყავდეს ამ ციცქნა ცხოველს.

### ესმით თუ არა ერთმანეთის ენა სხვადასხვა ქვეყნის ყრუ-მუნჯებს?

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ენა აქვთ, ასეა ყრუ-მუნჯებს შორისაც. ისე, რომ „უცხო"



ენის გასაგებად მათაც უწევთ მისი სწავლა და ან დასახმარებლად — ჟესტების ერთი ენიდან მეორეზე სათარგმნელად თარჯიმნის მოხმობა.

### რისგან აკეთებენ ვანილს?



ვანილის სასიამოვნო სურნელი უთუოდ ყველა თქვენგანისთვის ნაცნობია, ამ სანელებელს ნაყინშიც უმატებენ, კრემშიც, შოკოლადშიც. ის კი ალბათ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ვანილს ორქიდეისგან ამზადებენ. უფრო სწორედ ორქიდეების ოჯახის ლიანების ჭოტებისგან. ამ მცენარის სამშობლოა მექსიკა, თუმცა სხვა ტროპიკულ ქვეყნებშიც აშენებენ. ჭოტებს კრეფენ, ახმობენ და „ვანილის ჯოხების" სახით ჰყიდიან.

### რატომ ანთებს ციცინათელა?



„ფარნების" საშუალებით ციცინათელები ერთმანეთს ეცნობიან. ამ მწერებს მუცლის ბოლოში მთელი „ქიმიური ლაბორატორია" აქვთ. სინათლის „ასანთებად" სპეციალური ორგანო „ლაბორატორიაში" ჟანგბადს გადასცემს, გარკვეული ნივთიერებები ერთდება და ჩნდება ნათება. ადრე ინდიელები ფეხის თითებზე ისვამდნენ ციცინათელებს და ისე ინათებდნენ ღამეში გზას, ინგლისელი ჯარისკაცები კი სანგრებში ამ მწერების სინათლეზე რუკებს კითხულობდნენ. დიდ ბრიტანეთში ომის გმირი მწერებისთვის დადგმულ ძეგლებს შორის ციცინათელას ძეგლიცაა. ეს მომწვანო-ყვითელი სინათლე სითბოს არ გამოსცემს, სხვაგვარად ციცინათელებს გადამეტხურება დაემუქრებოდათ.

### როგორ დადიან კოსმონავტები ტუალეტში?

ხომ წარმოგიდგენიათ, რა ძნელი ამბავია ეს უწონადობის პირობებში! ამიტომაც ინჟინერ-კონსტრუქტორებმა კოსმოსური ტუალეტის შექმნაზე ძალიან ბევრი იმუშავეს. უნიტაზი მტვერსასრუტივით მოქმედებს: კოსმონავტის ორგანიზმის ცხოველქმედების ყველა პროდუქტი უმალ შეისრუტება ჰაერის ძლიერი ნაკადით. როგორც ფოტოზე ხედავთ, უნიტაზს აქეთ-იქიდან სახელურები აქვს, თუ კოსმონავტი მაგრად არ ჩაეჭიდება მათ, შეიძლება ყველაზე უხერხულ მომენტში აფრინდეს.



# უნდა გაგაოცოთ!

## გიგანტური ნაყინი

ჩინელებმა მსოფლიოში უდიდესი ნაყინი დაამზადეს. ეს გიგანტი ნუგბარი 8 ტონას იწონიდა და ცხადია, გინესის რეკორდების წიგნშიც უყოყმანოდ შეიტანეს. ფერად-ფერადი ნაყინი კულინარებმა სხვადასხვა ცხოველებისა და ყვავილების გამოსახულებებით მორთეს.




## ფურშეტი სპილოებისთვის

ტაილანდში სპილო ძალის, სიბრძნისა და წარმატების სიმბოლოა. აქ აკრძალულია ამ ცხოველზე ანეკდოტების მოყოლა, მათი დაცინვა ან უდიერად მოპყრობა, ტაილანდის მოსახლეობა მრავალი სახეობის შრომაში იყენებს სპილოებს. ამ ქვეყანაში ყოველწლიურად აღინიშნება სპილოს დღე. ზეიმი ქალაქ ჩანგ მაიში იმართება. სპეციალური ცერემონიის დროს ბუდისტი ბერები სპილოებისადმი პატივისცემას გამოხატავენ, წინა წელს გარდაცვლილ სპილოებს კი პატივს მიაგებენ. ზეიმზე სპილოები თამაშობენ კალათბურთს, წინა ფეხებზე ყირას ჭიმავენ და თქვენ წარმოიდგინეთ, ხორთუმით ხატავენ კიდეც. იმის გათვალისწინებით, რომ სპილოებს ძალიან უყვართ ხილი, დღესასწაულზე მათ გულუხვად უმასპინძლდებიან ვაშლით, ბანანებით და ანანასებით. ამ უჩვეულო ფურშეტზე თითოეული სპილო ჯერ მარტო ბანანს 200 კილოგრამს ჭამს, ბევრი მათგანი კი დამატებასაც ითხოვს.



## 457 კილოგრამიანი გოგრა

გერმანიის ქალაქ ლუდვიგსბურგში ყოველ შემოდგომაზე მსოფლიოში უდიდესი გოგრების ტრადიციული ბაზრობა-გამოფენა იმართება, რომელზეც როგორც წესი, ამ საოცარი კენკრის (დიახ, არ შეგვშლია, გოგრა კენკრა გახლავთ) 200-მდე სხვადასხვა ჯიშია ხოლმე წარმოდგენილი. ქრისტეფორე კოლუმბის ხომალდის მაკეტის ფონზე ბაზრობის მონაწილენი მათ მიერ გამოყვანილი უზარმაზარი გოგრებით იწონებენ თავს. კოლუმბი რა შუაშიაო, — იკითხავთ, საქმე ის არის, რომ სწორედ კოლუმბმა ჩამოიტანა 1492 წელს ამერიკიდან ევროპაში ამ მცენარის თესლი. ბაზრობის წლევანდელი ჩემპიონი 457 კილოგრამიანი გოგრა გახდა.



## 800 მეტრის სიმაღლის ცათამბჯენი

არაბეთის გაერთიანებული საემიროების ქალაქ დუბაიში შენდება ცათამბჯენი, რომელიც დედამიწაზე ყველაზე მაღალი შენობა იქნება. თუმცა ინფორმაციას მისი სიმაღლის შესახებ საგულდაგულოდ მალავენ, ისეთი პირი უჩანს, რომ დუბაური კოშკი 800 მეტრის სიმაღლის იქნება, რაც ამჟამინდელ რეკორდსმენზე, ტაივანის დედაქალაქში არსებული 509 მეტრიანი ტაიპეის შენობაზე ბევრად მეტია. შენობის მზიდი სისტემების ფორმა არქიტექტორებს უდაბნოს ყვავილის ჰიმენოკალისის მოყვანილობამ უკარნახა. ერთი შეხედვით, ცათამბჯენი არ ჰგავს ამ ყვავილს, მაგრამ თუ ნაგებობას ზევიდან დავხედავთ, მსგავსებას უმალ შევამჩნევთ. დუბაური ცათამბჯენის აგება 2008 წელს უნდა დამთავრდეს და სიმაღლის ოფიციალურ რეკორდსმენადაც ის მაშინ გამოცხადდება.



## ნავი 15 მილიონი ნაყინის ჩხირისაგან

ნიდერლანდების დედაქალაქში წყალში ჩაუშვეს 15 მილიონი ნაყინის ჩხირისგან დამზადებული ძველი ვიკინგების ნავის ასლი. ნავის დასამზადებლად 900 კილოგრამი წებო დაიხარჯა. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ასეთი უცნაური მასალისგან აგებული ნავი არ ჩაიძირა.





საქართველოს ბიბლიოთეკა

# არსებობენ თუ არა მოჩვენებები?

ზოგი ადამიანი ირწმუნება, ნამდვილი მოჩვენება ვნახეო, და თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთები მრავლად არიან. აი რას ამბობს ინგლისის მოჩვენებათა კლუბის პრეზიდენტი (დიახ, ინგლისში ასეთი კლუბიც არსებობს) პიტერ ანდერვუდი ამის შესახებ: მოჩვენებებთან შეხვედრების 98 პროცენტი ბუნებრივი მიზეზებით აიხსნება. ვიღაც სავარძლის საზურგეზე მიგდებულმა კაბამ შეიყვანა შეცდომაში, ვიღაც კიდევ სარკეში თვალმოკრულმა გამოსახულებამ. ხოლო დანარჩენ ორ პროცენტს ვერანაირ ახსნას ვერ მოუძებნი.

ვუგდებთ ხოლმე ყურს სხვის მონაყოლს, ვკითხულობთ დაწერილს, ფილმებსაც ვუყურებთ და გვჯერა, რომ თუ ზებუნებრივს დავიჯერებთ, სულელთა რიცხვში აღმოვჩნდებით. მაგრამ მოდით, ვნახოთ, ვინ ურევია იმ „სულელებში", სულების არსებობისა რომ სჯეროდათ. ვინ და: პლუტარქე, პლინიუსი, სოკრატე, ციცერონი... მოგეწონათ საზოგადოება?

იქნებ ჩვენც გვინახავს ეს მოჩვენებები, ოღონდ ვერ ვიცანით? მაინც როგორ გამოიყურებიან, ვის ან რას ჰგვანან? ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ ყველა მოჩვენება ზეწარშია გახვეული, როგორც ასტრიდ ლინდგრენის მიერ მოგონილი „ველური, მაგრამ სიმპათიური მოჩვენება" ვაზასტონიდან, ძალიან ცდება, როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, მოჩვენებები სულ ნაირ-ნაირები არიან.

1966 წელს ერთ მღვდელს უმარჯვნია და გრინვიჩში დედოფლის სასახლეში დედოფალ ჰენრიეტას აჩრდილი ფოტოფირზე აღუბეჭდავს. ბევრ მეზღვაურს უნახავს ხომალდი — აჩრდილი „მფრინავი ჰოლანდიელი". თვითმხილველთა თქმით, ნიუ-იორკის ცენტრალურ რკინიგზაზე რამდენიმე წლის განმავლობაში დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე მატარებელი-აჩრდილი, აბრამ ლინკოლნის სამგლოვიარო მატარებელი. ენთუზიასტთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ორი სტუდენტი, ერთი ფიზიკოსი, ერთი მუშა და ერთიც მილიციელი თვალს ადევნებდა უზარმაზარი შავი ადამიანისა და იდუმალი კატების აჩრდილებს, რომლებიც მოსკოვის ქუჩებში ჩნდებოდნენ ღამ-ღამობით. აჩრდილები პირდაპირ კედლიდან გამოდიოდნენ და კედელშივე უჩინარდებოდნენ. მაინც როგორ უნდა ვიცნოთ მოჩვენება? როგორ უნდა მივხვდეთ, რომ მოჩვენებასთან გვაქვს საქმე და არა რეალურ არსებასთან? იგივე პიტერ ანდერვუდს მიაჩნია, რომ როგორც უნდა გამოიყურებოდნენ მოჩვენებები, მათი მთავარი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ისინი არანაირ ხმას არ გამოსცემენ და უეცრად ძალიან უცნაურ ვითარებაში ქრებიან.

ახლა მეცნიერების აზრსაც გავეცნოთ. მათ ნაწილს მიაჩნია, რომ ადამიანის სხეული ელექტრომაგნიტური ტალღების ფართო სპექტრს გამოასხივებს. თბურ გამოსხივებასთან მიახლოებული დიაპაზონის ტალღებზე დაკვირვებით (ეს ყველა შინაგანი ორგანოს დამუხტულ უჯრედთა მემბრანების რხევის სიხშირეა) დადგინდა, რომ ისინი შეთანხმებულად, ანუ როგორც ფიზიკოსები ამბობენ,კოპერენტულად ირჩევიან. თუმცა კოპერენტულ გამოსხივებას ჩვენ ტექნიკის წყალობით უფრო ვიცნობთ — ეს ლაზერული სხივია. სწორედ ის ქმნის ჰოლოგრაფიულ გამოსახულებას და თუ ასეა, რატომ არ უნდა შევადაროთ ადამიანი ლაზერს, ოღონდ მიკროტალღოვან დიაპაზონში მომუშავე ლაზერს?



შეიძლება ჰოლოგრამები მარტო ფოტოფირებზე კი არა, ტემპერატურისადმი მგრძნობიარე მასალებზეც გაჩნდეს. მაგალითად, ზეთის საღებავის ან ლაქის აპკზე... ახლა კი წარმოიდგინეთ მხატვარი, რომელიც თავდავიწყებით ხატავს პორტრეტს. თერმომგრძნობიარე ზედაპირზე რჩება მკაფიო, ოღონდ ჯერჯერობით უხილავი კვალი. პორტრეტი ძველ ციხე-დარბაზში ჰკიდია და ღამე ვინმე შიშისგან აცახცახებული მოდის მის სანახავად. წარმოიშობა რეზონანსის მსგავსი რამ, აწყობა გამოსხივების იმავე სიხშირეზე, მხატვარს რომ გააჩნია. ჰოლოგრამა ცოცხლდება... მოჩვენებაა?!

ვინ იცის, იქნებ ასეცაა. ძიება გრძელდება.

საინტერესო მოსაზრება გააჩნია ოთხ ინგლისელ ჭაბუკს, რომლებიც საკუთარ თავს აჩრდილებზე მონადირეებს უწოდებენ. ეს ახალგაზრდები მონადირეები კი არიან, მაგრამ კი არ ნადირობენ არამედ, იმათ ეხმარებიან, ვისაც საკუთარ სახლში მომხდარი აუხსნელი მოვლენები აშინებს.

—უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვცდილობთ დავადგინოთ: ფიზიკური მოვლენაა ეს თუ ფსიქოლოგიური — ამბობს ჯგუფის ხელმძღვანელი რობინ ფარმენი — აქ პროფესიონალი უნდა იყო, თუ მოვლენა წარმოსახვის გაზვიადებული ნაყოფი არ არის, მონადირეები მოვლენის ადგილზე საკუთარი აპარატურით იწყებენ მუშაობას. ამოწმებენ ტემპერატურას, განათების ინტენსიურობას, ვიბრაციას. თვითონ რობინ ფარმენს არ სჯერა იმ მოჩვენებების არსებობა, რომლებიც თითქოსდა სამარიდან დგებიან და ცოცხლებს აშინებენ. მას სჯერა იმ რაღაც — „ძალისა", რომელსაც ადამიანები კეთილი ან ბოროტი მიზნებისთვის იყენებენ. სწორედ ამ ძალას სწავლობს იგი.

მონადირეებს მიაჩნიათ, რომ ადამიანებს ყველაზე მეტად გაურკვევლობისა ეშინიათ. უმეტეს შემთხვევაში ისინი აჩქარებენ მათ დამშვიდებას, უხსნიან მოვლენას, ხოლო თუ მოვლენა აუხსნელია, ბოლოს და ბოლოს შეიძლება შევურიგდეთ მას. ბევრი ადამიანი მეგობრობს მოჩვენებებთან, ის კი არადა, ოჯახის წევრებადაც კი მიიჩნევს მათ. ხოლო თუ აუხსნელ მოვლენასთან შერიგება შეუძლებელია, მაშინ მღვდელს ან მედიუმს იწვევენ. უფრო ადვილადაც კი ხდება ხოლმე. საკმარისია გარემონტოთ, განიავოთ ოთახი იქნება, თუ სხვა სათავსო, და ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება.

# როგორი ურთიერთობა გაქვს ბიჭებთან?

## ტესტი გოგონებისთვის

*თავისუფლად და ბუნებრივად გრძნობ თავს მათ საზოგადოებაში თუ იბნევი, სიტყვასაც ვერ ძრავ? ან ის თუ იცი, სხვები რას ფიქრობენ შენზე? უპასუხე ტესტის კითხვებს და შეიძლება ისეთი რამ შეიტყო შენ შესახებ, რაც აქამდე არ იცოდი.*

**1. ქუჩაში სიმპათიურმა ბიჭმა გაგიღიმა. როგორ მოიქცევი?**

ა) მეც გავუღიმებ;

ბ) თვალებს დავხრი და გავწითლდები;

გ) ჩემს განწყობილებას გააჩნია.

**2. სად ისურვებდი დასვენებას?**

ა) პრესტიჟულ ევროპულ კურორტზე;

ბ) ინდოეთში ან ჩინეთში მოგზაურობას ამჯობინებდი;

გ) გუდაურში ან ბაკურიანში;

**3. ვთქვათ კოსტიუმირებულ მეჯლისზე მოხვდი, რომელ კოსტიუმს აირჩევდი?**

ა) ბოშა ქალისას;

ბ) კლოუნისას;

გ) უცხოპლანეტელისას.

**4. გსიამოვნებს, როცა უცხო ბიჭები ყურადღებას გაქცევენ?**

ა) დიახ, ძალიან;

ბ) გააჩნია, ვინ მაქცევს ყურადღებას;

გ) არა, არ მიყვარს როცა თავს მაბეზრებენ.

**5. ლამაზად ჩაცმა თუ გიყვარს?**

ა) ძალიან;

ბ) მომწონს, როცა ადამიანს ლამაზად აცვია;

გ) ჩაცმა-დახურვისადმი გულგრილი ვარ;

**6. ვთქვათ, უცხო ბიჭმა კაფეში ფინჯან ყავაზე დაგპატიჟა, გაჰყვები?**

ა) საკმაოდ მქონია ასეთი შეთხვევები და უარი არასოდეს მითქვამს;

ბ) ვფიქრობ, გავყვები;

გ) არასდროს.

**7. ბიჭებისთვის თუ გიკოცნინებია?**

ა) კი, თუ ბიჭი მომწონებია;

ბ) თუ სურვილი მქონია, მიკოცნინებია;

გ) არა, არასდროს.

**8. საკუთარი გარეგნობა თუ მოგწონს?**

ა) საბოლოო ჯამში შეუხედავი არ მეთქმის;

ბ) ხან მომწონს და ხან არა, გააჩნია ჩემს განწყობილებას და წელიწადის დროს;

გ) რომ შეიძლებოდეს, სულ შევიცვლიდი გარეგნობას.

**9. დილაობით რამდენ დროს უთმობ ხოლმე შენს გარეგნობას?**

ა) დაახლოებით ერთ საათს;

ბ) ნახევარ საათს;

გ) 5 წუთს.

**10.** როგორ გგონია, შეგიძლია ერთი ნახვით შეიყვარო ვინმე?

ა) სულ ასე არ მემართება?!

ბ) შემიძლია, მაგრამ ძალიან იშვიათად;



გ) არა, მე ჯერ კარგად უნდა გავიცნო ადამიანი.

**11. ყველაზე ნაკლებად რა გაინტერესებს ბიჭებში?**

ა) გარეგნობა;

ბ) ხასიათი;

გ) ზუსტად ვერ ვიტყვი.

**12.** სპორტის რომელი სახეობა მოგწონს?

ა) ჩოგბურთი;

ბ) ფრენბურთი;

გ) ცურვა.

**13.** ბოლოს როდის გაჩუქეს ყვავილები?

ა) რამდენიმე დღის წინ;

ბ) ნახევარი წლის წინ;

გ) არ მახსოვს.

**14.** სად ამჯობინებ ბიჭთან ერთად წასვლას?

ა) დისკოთეკაზე;

ბ) კინოში;

გ) კაფეში;

დაავჯამე ქულები:

| კითხვა | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პასუხი | ა | 5 | 6 | 6 | 6 | 5 | 6 | 6 | 6 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 6 |
| | ბ | 1 | 4 | 4 | 4 | 3 | 3 | 4 | 4 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 4 |
| | გ | 3 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 |

**66 ქულა და მეტი:** ყოველთვის გყავს თაყვანისმცემლები, შენი წარმატება ბევრს შურს. საკუთარ თავში დარწმუნებული, მომხიბვლელი და ხალისიანი ხარ. მაგრამ შეიძლება ქარაფშუტა და ზედაპირული „გულთამპყრობელის" შთაბეჭდილება დატოვო. იშვიათად, რომ ისეთმა ბიჭმა მოგაქციოს ყურადღება, რომელიც სერიოზულ ურთიერთობას ეძებს.

**37-65 ქულა:** ურთიერთობაში გულწრფელი ხარ და სხვებისგანაც იგივეს ელი. ბევრს მოსწონს შენი გულღიაობა და ქცევის უბრალო მანერა. უმალ ნათელი ხდება, რომ მსუბუქი არშიყისთვის არ ხარ შექმნილი. იოლი თავგადასავლების მაძიებლებს შენისთანა ქალიშვილები არ აინტერესებთ.

**36 ქულა და ნაკლები:** ბევრს მიაჩნია, რომ უკარება და ცივი ხარ და რომ უმჯობესია არც მოგიახლოვდნენ. ხშირად გულჩათხრობილი და მორიდებული ხარ. სცადე გაიღიმო და ცოტა იკეკლუცე, ბიჭთან შეხვედრა ხომ გამოცდა კი არა, სასიამოვნო დროსტარებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როდის და სად შეიქმნა პირველი დისნეილენდი და ვინ შექმნა ის?



დისნეისეულ მულტგმირებს მიკი მაუსს, დონალდს, პლუტოს, ფიფქიას, შვიდ ჯუჯას, ბემბის და სხვებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ მთელი მსოფლიოს ბავშვების გულები, როცა მათმა შემოქმედმა პატარების ახალი საჩუქრებით გახარება განიზრახა. უოლტ დისნეიმ ზღაპრული სამყაროს, დისნეილენდის შექმნა გადაწყვიტა. იდეით შეპყრობილმა ჯერ ნათესავ-მეგობრებს გაანდო ჩანაფიქრი, მაგრამ მათ მისი ოცნება აუხდენლად მოეჩვენათ და მხარი არ აუბეს, ფინანსისტებმა კი, როდესაც დისნეიმ დახმარებისთვის მიმართა, გარდა იმისა, რომ ხელი არ გაუმართეს, მის გეგმებს გიჟის ბოდვა უწოდეს. მაგრამ უოლტ დისნეი უოლტ დისნეი არ იქნებოდა, თუ ოცნებას არ აიხდენდა, დასახულ მიზანს არ მიაღწევდა და გადაწყვიტა საკუთარი მცირე სახსრებით დაეწყო, მერე გირაოთი სესხებიც მიიღო და საქმესაც შეუდგა. უშრეტი გამომგონებლობის, უკიდეგანო ფანტაზიის ნაყოფი თანდათან ისხამდა ხორცს და აი, 1955 წელს, ჰოლივუდის სამხრეთით, 50 კილომეტრის მოცილებით, ანაჰეიმში აღმოცენდა დისნეის ნაოცნებარი ჯადოსნური ქალაქი — დისნეილენდი.

აქ ყველაფერი ზღაპრულია, ყველაფერი აღფრთოვანებას იწვევს, ყვავილნარი, ტყეები, სასახლეები, ციხე-დარბაზები. ერთი კუთხე ძველ შორეულ დასავლეთს აქვს დათმობილი მისი პირველი მოსახლეებითურთ; ხელოვნურად აღმართული ბორცვებიდან ჩანჩქერები გადმოჰქუხს, ექსცხენშებმულ ძველებურ ფოსტის დილიჟანსს ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში გადაჰყავს მგზავრები; ხახადაღებული გვირაბიდან ქშენით გამოდის ძველისძველი ორთქლმავალი, რომელიც ასეთივე ვაგონებს ეწევა; აქვეა საიდუმლო გვირაბი, რომელშიც ტომ სოიერი და ბეკი ტეტჩერი დაიკარგნენ, და რომელშიც ინდიელი ჯო იმალებოდა; ხელოვნურ მდინარეზე ბორბლების ხმაურითა და ქშენით დაცურავს გემი, რომელზეც მარკ ტვენი ლოცმანად მსახურობდა, გემის გემბანიდან მოჩანს კუნძული, რომელსაც ჰეკლბერი ფინი და მისი მეგობარი გამოქცეული ზანგი ჯიმი აფარებდნენ თავს; აქვეა ფენიმორ კუპერის გმირების საცხოვრებელი ძელური სახლები.

დისნეილენდის დიდსა თუ პატარა სტუმრებს საშუალება ეძლევათ ჯუნგლებში იმოგზაურონ, გემით დაუყვენ მდინარეს, დატკბნენ ტყისა და მდინარის ბინადართა ხილვით, ფირზე აღბეჭდონ ისინი. მდინარიდან ბეჰემოთების ოჯახი ამოდის ქშენითა და ფრუტუნით. იქვე წყლის პირას ნიანგები თვლემენ, ხეებზე მაიმუნები დახტიან და კივიან. წყურვილის მოსაკლავად მოსული სპილოები ხორთუმიდან შადრევანს აფრქვევენ. მდინარის თავზე გამოქვაბულში ლომების ოჯახს დაუდვია ბინა. ფრინველებს ხომ თვლა არა აქვს... რაღა თქმა უნდა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვეგებებიან მიკი მაუსი, დონალდი, პლუტო, სამი გოჭი, ფიფქია, ჯუჯები, დისნეის ფილმების სხვა პერსონაჟები. ათასგვარი მხიარული, თავბრუდამხვევი ატრაქციონები, ნაირ-ნაირი ნაყინი, ტკბილეული... ერთი სიტყვით, აქაურობა პატარების და არა მარტო მათი ხორცშესხმული სანუკვარი ოცნებაა, ახდენილი ნატვრაა.

ამერიკული დისნეილენდის მსგავსი ზღაპრული ქალაქები დღეს საფრანგეთშიც არსებობს, იაპონიაშიც... მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც ფიქრობენ ბავშვების გახარებას ამგვარი ჯადოსნური სამყაროს შექმნით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილის გაკვეთილი

* * *

ავადმყოფმა ექიმს შინ მიაკითხა, კარი ექვსი წლის გოგონამ გაუღო:

–ექიმი შინ ბრძანდება? – იკითხა სტუმარმა.

–არა, საავადმყოფოშია, აპენდიციტის ოპერაციას აკეთებს.

–შენ რა რთული სიტყვები გცოდნია, თუ იცი, რას ნიშნავს ეს?

გოგონამ თავი დაუქნია:

–რა თქმა უნდა, ქალბატონო, ეს ათას დოლარს ნიშნავს, ანესთეზიის ჩაუთვლელად...

* * *

მასწავლებელი: რამდენ ხანს ცოცხლობენ თაგვები?

მოსწავლე: ეს კატაზეა დამოკიდებული.

* * *

დედა: დალიე, შვილო, წამალი, როცა ბებია გასმევს, სიამოვნებით სვამ ხოლმე, ახლა რაღა მოგივიდა?

შვილი: როცა ბებია მასმევს, ხელი უკანკალებს და კოვზზე აღარაფერი რჩება.

* * *



დედა: ფრიც, ჭამის წინ ხელები თუ დაიბანე?

ფრიცი: დავიბანე ოღონდ მხოლოდ ცალი, – მარჯვენა, მარცხენა სუფთა მქონდა.

* * *

დედა: ოტო, შვილო, მიდი ერთი ნახე, ბარომეტრი ხომ არ დაეცა.

ოტო: არა, დედა, არ დაცემულა, ისევ თავის ადგილზე ჰკიდია, კედელზე.

* * *

პატარა ლუსი სარკის წინ დადგა და თვალები დახუჭა:

–რას შვრები? – ჰკითხა დედამ.

–მინდა ვნახო, როგორი ვარ, როცა მძინავს.

* * *

ორი ამხანაგი ცნობილი მხატვრის გამოფენაზე მის ნამუშევრებს ათვალიერებს. ბიჭები მხატვრის ავტოპორტრეტის წინ რომ შეჩერდნენ, ერთ-ერთი მათგანი დაეჭვდა:

–ეს ამ კაცის დახატული არ იქნება!

–რატომ გგონია? – შეესიტყვა ამხანაგი.

–როგორ დახატავდა, როცა ხელები ჯიბეებში უწყვია!

* * *

მამა: – ჯეკ, მე შენ გიამბე მეორე მსოფლიო ომში ჩემი მონაწილეობის შესახებ?

შვილი: – კი, მამა, მიამბე, ოღონდ ის ვერ გავიგე, დანარჩენი ჯარისკაცები რისთვისღა იყვნენ საჭირო?

* * *

–შვილო, დღეს საცურაოდ ნუ წახვალ, ხომ თქვი, მუცელი მტკივაო.

–ნუ გეშინია, დედიკო, წავალ, ოღონდ ზურგზე ვიცურავებ.

* * *

–რომელი კბილი ეზრდება ადამიანს ყველაზე ბოლოს? – ჰკითხა მასწავლებელმა ფრიცს.

–ხელოვნური კბილი, ბატონო მასწავლებელო, – მიუგო მან.

* * *

მასწავლებელი: აბა, ტომ, მიპასუხე, რომელ ბრძოლაში დაიძახა გენერალმა ვულფმა: „გამარჯვება ჩვენია და ჩვენ ბედნიერები ვკვდებითო?"

ტომი: თავის უკანასკნელ ბრძოლაში.

* * *

დედა: რატომ ყურებიც არ დაიბანე?

ფრიცი: რა ვიცი, შენ მითხარი, პირი დაიბანეო, ყურების შესახებ კი არაფერი გითქვამს.

* * *

ასტრონომიის გაკვეთილზე პიერმა კითხვით მიმართა მასწავლებელს:

–შეიძლება, რომ დედამიწა როდისმე გაქრეს?

–დიახ, შეიძლება.

–მაშინ, ვინც თვითმფრინავში იჯდება, სად დაეშვება? – შეშფოთდა პიერი.

# ინილოთ – ზინილოთ





ეს ნახაცემი უაზრო ნაჯღაბნი არ გეგონოთ. ეს ღრუდლები — გამოცანა-თავსაცეხებია. შეურჩიეთ თითოეულ მათგანს ქვემოთ მოყვანილი წარწერებიდან ერთ-ერთი.

1. გოჭი ნისლიდან გამოდის
2. პეპელა სახტუნელათი
3. მფრინავი თეფშების მიზეზით წარმოქმნილი საგზაო საცობი
4. წყლის ონკანმა ჩაისუნთქა





ეს იაპონური თავსატეხი სუდოკუ შედგება 9 ჰორიზონტალური და 9 ვერტიკალური სვეტისგან, უჯრები გაერთიანებულია 9 ბლოკად. თითოეულ ბლოკში 9 უჯრაა, გაითვალისწინეთ, რომ ჰორიზონტალებში და ვერტიკალებში ციფრი არ უნდა განმეორდეს, ცხრავე ციფრი უნდა ეწეროს ცალკეულ ბლოკებშიც.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 7 | | | | | | |
| | | | | | | | | 7 |
| | | | | 7 | 2 | | | 8 |
| | 2 | | | 1 | | 4 | | |
| | | 9 | | | | | 1 | |
| | | | | 5 | | | | |
| 2 | | | | | | | | |
| | | 5 | | 9 | | 6 | | 2 |
| | | | | | 7 | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | | | 5 | | 6 |
| | | | 5 | | | | | |
| 5 | | | | 9 | | | | |
| | | | | | 8 | 3 | 6 | |
| | | 7 | 1 | | | | | |
| | 8 | | | | | | | |
| | | | | | 7 | | | 5 |
| 4 | | | | 8 | | | 7 | |
| | | 8 | | | | | | |

# საქართველოს მომავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის №147-ე საჯარო სკოლა, I კლასი ხელმძღვანელი ნათია ლევანიშვილი



თბილისის №4 საჯარო სკოლა, I კლასი ხელმძღვანელი ნაზი ონიანი



მესტიის რაიონი, სოფელი ხაიში, II კლასის მოსწავლე გიორგი კვირიკაძე





674/42



# თბილისური შემოდგომა

ზაზა ჩუბინიძე.
თბილისის 51-ე საჯარო
სკოლის მოსწავლე